ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

თბილი [illegible]
რედაქცია [illegible]
კება შეიძლება [illegible] დღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49

ხელისმომწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. კარეში—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

დღიური

— სამხრეთ-ჩინეთში მღელვარება დაიწყო.
— პოლონეთში მუშები იკავებენ ქარხნებს.
— ამერიკის ნაპირებზე საშინელმა გრიგალმა გადაიარა.
— ვილნოს რაიონში (პოლონეთი) [illegible]
— ანატოლ ფრანსის მდგომარეობა კრიტიკულია.
— ათინაში აფეთქდა სამხედრო საწყობი.
— ინგლისში უმუშევრობა იზრდება.
— ჟენევაში გაიხსნა ერთა ლიგის სესია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 198 (1053) კვირა 31 აგვისტო 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 4 კ. № 198 (1053)

„კომუნისტი“

მიიღება ხელის მოწერა სექტემბრისათვის

მუშა-მოსამსახურეებისათვის, წ.-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ეღირება:

1 თვით 65 კაპ. 2 თვით—1 მან. 10 კაპ. 3 თვით—1 მან. 80 კაპ. 4 თვით—2 მან. 40 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით

თბილისში
(ბინაზე მიტანით)

1 თვით	85 კაპ.
2 „	1 მან. 60 „
3 „	2 „ 40 „
წლის ბოლომდი	3 „ 10 „

პროვინციაში
(გაგზავნით)

1 თვით	95 კაპ.
2 „	1 მან. 80 „
3 „	2 „ 70 „
წლის ბოლომდე	3 „ 50 „

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოთ „კომუნისტი“-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს“

ამიერ-კავკასიის ცაკის II სესია

ამიერ-კავკასიის მუშათა, გლეხთა, წითელ-არმიელთა მეზღვაურთა საბჭოების ცაკის მეოთხე სესია მო- ულია ქ. თბილისში 1-ლ სექტემბერს და გაიხსნება მავე დღეს სასახლის წითელ დარბაზში დილის 11 საათზე

დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის ცენტრ. აღმ. კომ. პრეზიდიუმის ანგარიში—მომხსენებელია ამიერ-კ. ც. აღმ. კ. თავმჯდომარე.
2. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ბიუჯეტი—მომხსენებელია ამხ. ჟუხეინოვი.
3. ამიერ-კავკასიის სასოფლო-სამეურნეო ბანკის მუშაობა—მომხსენებელია ამხ. ქ. ჩხენკელი.
4. ამიერ-კავკასიის საძოვარი ადგილები—მომხსენებელია ამხ. ქასიანი.
5. ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კონსტიტუციის შეთანხმება სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციასთან—მომხსენებელია ამხ. მ. ორახელაშვილი.
6. დებულება ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპუბლიკის ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების: ა) ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის, ბ) ამიერ-კავკასიის საბჭოთა სოც. ფედ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს შესახებ და გ) ზოგადი დებულება ამიერ-კავკასიის საბჭ. სოც. ფედ. რესპ. სახალხო კომისარიატების შესახებ—მომხსენებელია ამხ. ა. შავერდოვი.
7. დებულება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისარიატებისა: ა) ფინანსთა, ბ) შინა ვაჭრობისა, გ) შრომისა, დ) მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და სოციალისტური საბჭ. რესპუბლიკების კავშირის: ა) გარეშე საქმეთა, ბ) საგარეო ვაჭრობისა და გ) ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატების რწმუნებულთა სამმართველოების ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში—მომხს. ამხ. მუსაბეკოვი.
8. [illegible] აღმ. კომ. მდივნის არჩევნები.
9. [illegible]

ამ[illegible] ამიერ ა. შავერდოვი.

[illegible]გება!

პო [illegible] ურჯ [illegible] რეაქც [illegible] წიფე [illegible]

ქართველ მენშევიკების დაულება საქართველოს ყველა ბნელ ძალებთან ბუნებრივ უმეტანო ნა[illegible]ფს იძლევა. ნ. ჟორდანიას მიერ ქვეყნოთ კურთხეული და დიდათ ნაქები ტყის შეიარაღებული ძალები მენშევიკების მეთაურობით ამოძრავდენ და პირველათ ჭიათურას მოევლინენ „მხსნელებათ“ რამდენიმე საათით. მთავრობის [illegible]ია და სიმტკიცე, მშრომელ [illegible]სახლეობის ურყევი ნებისყოფა [illegible]ვად გადაელობენ და უკუაქციენ ეს მღვრიე ტალღა. იგივე სურათი განმეორდა საქართველოს [illegible]ვინციის ზოგიერთ ალაგას.

[illegible]ეაქციას მახვილით მოაქვს იე[illegible]ში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მშრომელთა რევო[illegible]ციით მონაპოვარს აქა—იქ მოკლე ხნით სინათლეზე გამოსულ მტრის ჩრდილი დაადგა.

ვისგან შესდგება მტრის ლაშქარი? ვინ ამშვენებს „აჯანყებულ ხალხის“ რიგებს? მხოლოდ და მხოლოდ ყოფილი თავადები, ყოფილი მემამულეები, ყოფილი მეფის და ჟორდანიას აფიცრები. [illegible] ერთი მშრომელი გლეხი და [illegible] ერთი მუშა არ გარევია რე[illegible] ამ ბანდიტურ გამოსვ[illegible].

[illegible] რა სწადიათ ბანდიტებს და მათ ხელმძღვანელებს? რასაკვირველია, საქართველოს განთავისუფლება. მუშა-გლეხის გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს: მამულ-დედულის, საზოგადოთ კერძო საკუთრების დაბრუნებას წინანდელ პატრონებისათვის, მუშისა და გლეხის ხელ ახლა გაბაწვრას უფალ კაპიტალის სადიდებლათ, ყველა კონკურენტის გაათრებულ დევნას, ხელახალ სისხლიან ომებს.

აი რას ნიშნავს ჟორდანია-ჯუღელის განმარტებით ხალხის „უფლება აჯანყებაზე“.

ჭეშმარიტათ, განსაცვიფრებელ ნახტომს აკეთებენ ქართველ მენშევიკების ნაშთლარები საკუთარ

რა უ[illegible]ესი მიზანი ამოძრავებთ თავზე ხელაღებულ ტყის [illegible] ძმებს, როცა ისინი გამოსვლებს აწყობენ? გამოცნობა ძნელი არ არის. განა შემთხვევითია ის გარემოება, რომ ცნობილი მუშა-გლეხების ჯალათი და დაქირავებული აგენტი იმპერიალიზმისა სავინკოვი თავის ამალით იმ დროს გადმოდის საბჭოთა საზღვარზე, როცა სამშობლო ნიადაგის ქვედა ფენებს თავს აფარებენ განთქმულნი ჯალათნი საქართველოს მუშის და გლეხის—ჯუღელი და ჩხიკვიშვილი? განა გარეშე იმპერიალისტური მტრის ხელის მუშაობა ძნელი დასანახია ჩვენი რეაქციის უკანასკნელ თავაშვებულ გამოსვლაში? კერძო საკუთრების ყველა, როგორც შინაური ისე გარეული ფურიები აქ შეხმატკბილებულან და მენშევიკების ხელით დანას სცემენ გულში მშრომელ ხალხს.

სცემენ. მარა ჩასცემენ კი? განა შეუძლია მშრომელთა საქმის გუშაგს, საბჭოთა მთავრობას ამოწვდილ მახვილს მახვილი არ შეახვედროს და მზაკვრული ხელი არ გაუშეშოს მუშის და გლეხის გააფთრებულ მტერს? განა საფიქრებელია, რომ საბჭოთა ხელისუფლება დიქტატორული წესით არ დაუდებს საზღვარს შავი დიქტატურის შავ მოციქულების სისხლმოწყურებულ თავაშვებას? რასაკვირველია არა, მით უმეტეს თუ ისინი გაუსწორდებიან ჩვენ ამხანაგებს, როგორც ამაზე ლაპარაკობენ.

განწირულია ყველა ის, ვისაც თავისი ბედი მშრომელთა სისხლით შეუწებებია განწირულ ფეოდალურ და ბურჟუაზიულ წყობილებასთან. მშრომელი ხალხის დავალებით მშრომელთა დიქტატურის გამახორციელებელი საბჭოთა მთავრობა, მთავრობა იღებს და მიიღებს გადამჭრელ ზომებს ხალხის მტრების წინააღმდეგ. სასტიკათ პასუხი მოეთხოვება ყველა მათ, ვინც არღვევს საქართველოს მშრომელი ხალხის მშვიდობიანობას და სურს იმპერიალიზმის უღელი შესდვას მას კი-

რუსეთის დამსხვრეული კონტრ-რევოლიუცია

(სავინკოვი)

„სავინკოვმა განაცხადა სასამართლოში, რომ ჯერ მეფის საპყრობილეებში და შემდეგ კი ემიგრაციაში ყოფნამ მოსწყვიტა ის მშრომელთა მასებს, რომელთა მაჯისცემა და სულისკვეთება მისთვის გაუგებარი დარჩა.

„პროლეტარული სასამართლოს წინაშე, რუსეთის ხალხის წარმომადგენლების წინაშე მე ვაცხადებ, რომ ვცდებოდი. მე ვაღიარებ ამ შეცდომებს და მივმართავ ემიგრანტებს, რომლებსაც უყვართ რუსეთის ხალხი, რათა მათ იცნონ საბჭოთა ხელისუფლება“.

სავინკოვის განცხადებიდან.

რუსეთში დააპატიმრეს ცნობილი „სოციალისტ-რევოლიუციონერი“ და კონტრ-რევოლიუციონერი გამოსვლების მომწყობი ბორის სავინკოვი. საბჭოთა ჩეკას „ჩვეულებათ“ გადაექცა, რომ „ხელი დაადოს“ ყველა თეთრგვარდიელებს, რომლებიც სხვა და სხვა ყალბი დოკუმენტებით აღჭურვილნი მოისურვებენ მშრომელთა რესპუბლიკების ტერიტორიაზე განავარდებას, რასაკვირველია არა დასასვენებლათ ან „საავარაკოთ“, როგორც ეს განაცხადა ამ დღეებში ჩვენებურმა სავინკოვმა, ვ. ჯუღელმა, არამედ გარკვეული კონტრ-რევოლიუციონური მიზნით.

რა ბრალს სდებენ მას? იმას, რომ სავინკოვი იყო ერთი ინიციატორი და მომწყობთაგანი თეთრგვარდიელთა ე. ი. კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლების, რაშიც მისი ხელშემწყობი და დამხმარე იყო როგორც მატერიალურათ, ისე მორალურათ იმპერიალისტური სახელმწიფოები. ის იყო გამტარებელი შიგნი—თავად-აზნაურულ-ბურჟუაზიული კლასების მიზნების და გარეთ—ისევ ამ გაბატონებული კლასების ასეთივე ინტერესების.

დამხობა საბჭოთა წყობილების, გამარჯვება რევოლიუციის პროცესში დამარცხებული კლასების და დამონება ძველებურათ საბჭოთა ქვეყნების მუშების და გლეხების—ეს იყო მისი უშუალო ამოცანა.

ბევრი მსხვერპლი შეიწირა სავინკოვმა და მისმა პარტიამ ამ ამოცანის გადასაჭრელათ, მაგრამ დაბოლოს მაინც დამარცხებული გამოვიდა ამ ბრძოლიდან და რევოლიუციაც გამაგრებული, საბჭოთა ხელისუფლება განმტკიცებული. დღეს ეს ვაჟბატონი გაასამართლა პროლეტარულმა სასამართლომ და მიუსაჯა მას საკადრისი სასჯელი. მაგრამ ის, რაც მან განაცხადა საქმის გარჩევის დროს, დამამტკიცებელია არა მარტო კონტრ-რევოლიუციის ფიზიკური განადგურების, რაც უკვე ფაქტი გახდა კარგი ხანია, არამედ ამ კონტრ-რევოლიუციის სრული გახრწნის პოლიტიკურათ. სწორეთ ასე უნდა შევაფასოთ ის განცხადება, რომლითაც გამოვიდა სავინკოვი სასამართლოში. მან დაადასტურა ყველა ბრალდებები წამოყენებული მის წინააღმდეგ, მაგრამ იმავე დროს აშკარათ აღიარა თავისი შეცდომები. დაბოლოს მან მიმართა ყველა ემიგრანტებს, რომლებსაც მართლაც უყვართ ხალხი, იცნონ საბჭოთა ხელისუფლება და ემსახურონ მშრომელთა ინტერესებს.

ასე თანდათან ყველაზე უფრო აქტიური და მოაზროვნე ელემენტები ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციისა რწმუნდებიან მათი საქმის უნაყოფობაში, მათ მისწრაფებათა დაღუპვაში და განადგურებაში. ეს საფეხური როგორც ეტყობა არ გაუვლიათ ჯერ კიდევ იმ „გმირებს“, რომლებიც ასულდგმულებენ დღესაც ჩვენში პარიტეტულ კონტრ-რევოლიუციას და სურთ თავიანთი უბადრუკი გამოსვლებით „ხალხი“ აახმაურონ, „ევროპა“ ააყაყანონ თუ დიდებით მიზნებს მაინც ვერ მიაღწევენ, როგორც ეს ცხადია ყველასათვის და მათ რიცხვში თვით ზოგიერთი მათი მეთაურებისთვისაც უკვე დღეს.

საბჭოთა ხელისუფლებამ, რომელიც დგას რესპუბლიკების მშრომელთა ინტერესების სადარაჯოზე, ჭკუა ასწავლა ამ ავანტიურისტებს რუსეთში, გაუშვა ისინი ცხვირპირ გალესილი იქ საიდანაც მობრძანდნენ. იმავე „ამბავს“ „გამოტყუებენ“ ეს უდღეური „სკანდალისტები“ ჩვენ მთავრობას აქაც, საქართველოში, სადაც მათ არ შესწევთ არც ნიჭი, არც გამოცდილება, არც ძალა იმისი მსგავსი, როგორიც იყო სავინკოვი და სავინკოვშჩინა რუსეთის სამოქალაქო ბრძოლის ისტორიაში.

ის გაკვეთილი, რომელიც მიიღეს საქართველოში ამ საბრალო ავანტიურისტებმა და მიიღებენ კიდევ, მალე არ დაავიწყდება იმათ, ვინც ფიზიკურად გადარჩება პარტიზანულ ჩხირკედელაობას, რომლითაც თავს იყოლიებენ დღეს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში ეს ბანდიტები და მშრომელი ხალხის მტრები.

საბჭოთა კავშირის საერთაშორისო გავლენა იზრდება

ხელშეკრულება ინგლისთან დამტკიცებული იქნება

საფრანგეთი ჩქარა იცნობს საბჭოთა მთავრობას

იაპონიაში ძლიერდება მოძრაობა ჩვენთან დაახლოების სასარგებლოდ

ინგლისი დაამტკიცებს ხელშეკრულებას

ლონდონი. 29 აგვისტო. გაზეთები ათავსებენ ინტერვიუს ამხ. რაკოვსკისთან მის ლონდონში დაბრუნების შემდეგ. შეეხო რა ინგლისის პრესის ერთი ნაწილის კამპანიას ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების წინააღმდეგ, ამხ. რაკოვსკიმ განაცხადა:

„ცხადია, ბრიტანეთის საზოგადოებრივი აზრის ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ ჩვენ ხელშეკრულების დადებისათვის უარი უნდა გვეთქვა სოციალისტურ კანონმდებლობაზე და ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარზე. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ინგლისის საზოგადოებრივ აზრის უმრავლესობა დაადგება უფრო სწორ თვალსაზრისზე“.

კითხვაზე, როგორი იქნება საბჭოთა მთავრობის პოზიცია, თუ ინგლისის პარლამენტი უარს იტყვის ხელშეკრულების რატიფიკაციაზე, ამხ. რაკოვსკიმ უპასუხა:

„ჩვენ დაველოდით, სანამ ახალი პარლამენტი გაიგებდეს იმას, რისი გაგებაც არ უნდოდა ეხლანდელ პარლამენტს. მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თემთა პალატის უმრავლესობა მხარს დაუჭერს ხელშეკრულებას. რატიფიკაციაზე უარის თქმა იქნებოდა ევროპის ახალი კრიზისის დასაწყისი.

ინგლისის მუშების მოთხოვნილება

ინგლისის მუშები მხარს უჭერენ ინგლისის კავშირს საბჭოთა კავშირთან

ლონდონი. 28 აგვისტო. ინგლისის პრესის ერთი ნაწილი აქვეყნებს ინგლისის პროფკავშირთა ოპოზიციის წერილს მაკდონალდისადმი. წერილში ნათქვამია:

„საჭიროა ინგლისის დაახლოვება საბჭოთა კავშირთან. მუშათა პარტია და მისი მთავრობა მიზნად ისახავენ კაპიტალიზმის მოსპობას და მუშათა სახელმწიფოს შექმნას. [illegible] დიდ ნაბიჯად ჩაითვლებოდა კავშირის დამყარება ინგლისის მუშათა მთავრობასა და საბჭოთა კავშირის მუშათა მთავრობას შორის. ასეთი კავშირი სწრაფად გაანადგურებდა საერთაშორისო კაპიტალიზმს და გაამხნევებდა მთელი მსოფლიოს მუშებს განთავისუფლებისათვის ბრძოლაში“.

პრესა გამოსთქვამს გაკვირვებას, რომ წერილი მაკდონალდისადმი იწყება სიტყვებით „ძვირფასო ამხანაგო“ და თავდება „ძმური სალამით“.

სხვა გზა არა აქვს

ამერიკის კანონი იაპონიის იმიგრაციის [illegible] ლტოლვას საბჭოთა კავშირისაკენ.

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. იაპონიის ლიბერალმა ცურუმიმ პოლიტიკის ინსტიტუტში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ ამერიკის მიერ მიღებული კანონი იაპონელთა იმიგრაციის წინააღმდეგ აძლიერებს იაპონიის პროლეტარიატის და გლეხობის [illegible] საბჭოთა კავშირისაკენ. ცურუმის სიტყვით, იაპონიის მასსა უნდობლად უცქერის კაპიტალისტურ დემოკრატიას და ილტვის საბჭოთა რესპუბლიკების საბჭოთა კავშირთან და აზიასთან დაახლოვებისაკენ.

კონსერვატორების კამპანია

ლონდონში. 28 აგვისტო. ინგლისის პრესა ათავსებს ვრცელ ანგარიშს მოსკოვში გამართულ კოოპერატიულ ყრილობაზე ამხ. კამენევის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შესახებ.

„ფინანშიელ ტაიმსი“ კომენტარიებს უკეთებს ამხ. კამენევის სიტყვას და სწერს: „ოფიციალური საბჭოთა წარმომადგენლები, როგორც ჩანს, არ იზიარებენ ინგლისის საზოგადოებრიობის ყველა წრეების მიერ გამოთქმულ აზრს იმის შესახებ, რომ ინგლისის დაპირება, ბოლშევიზმისათვის საგარანტიო სესხის სახით სუბსიდიის მიცემის შესახებ, არ გამართლდება.

ინგლისის ფინანსიური წრეები და კერძო პირები სურვილით [illegible] იქნას რუსეთი და უფრო შორს წავიდოდენ, რათა დახმარება გაეწიოთ მისთვის, მაგრამ მათ სრულებით არ აქვთ განზრახვა თავიანთ შემოსავალი შესწირონ ბოლშევიზმს. ბანკირების მანიფესტი წარმოადგენს ერთად-ერთ პლატფორმას, რომლის საფუძველზე სესხის მიღება შეიძლება ინგლისში ან სხვა რომელიმე ქვეყანაში, სადაც ხალხი ბატონობს მთავრობაზე და სადაც დემოკრატიის პრინციპი დამახინჯებულია ისე, როგორც დღევანდელ რუსეთში.

საფრანგეთი ჩქარა გვიცნობს

ლონდონი. 29 აგვისტო. ჟურნალისტებთან საუბრის დროს ლონდონში ამხ. როკოვსკიმ განაცხადა, რომ საფრანგეთის მიერ საბჭოთა კავშირის ცნობა აუცილებელია და ეს ცნობა მოხდება უფრო ადრევე, სანამ დამტკიცებული იქნებოდეს ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულება.

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. დემოკრატების გაზ. „ჟორდლი“, აკრიტიკებს რა რესპუბლიკანურ პარტიის საგარეო პოლიტიკას აღნიშნავს, რომ ამერიკა უნდა ილტვოდეს იაპონიის მეგობრობისაკენ, აწარმოოს შემარიგებელი პოლიტიკა ფილიპინის კუნძულებზე და „აღიაროს შორეულ აღმოსავლეთში რუსეთის მნიშვნელობა“. რესპუბლიკანელები კი პირიქით აძლიერებენ ანტაგონიზმს იაპონიაში და „შეურაცხყოფას აყენებენ რუსეთს და არ სცნობენ მის თვალსაჩინო როლს შორეულ აღმოსავლეთის სახელმწიფოთა შორის“.

გასკელი უარყოფს

ნიუ-იორკი 28 აგვისტო. გასკელი აბათილებს პრესის მიერ მისთვის მოწერილ განცხადებას იმის შესახებ, რომ თითქოს სასურველია მოსკოვში გაიგზავნოს ამერიკის ოფიციალური მისია და აცხადებს, რომ მას სასურველად მიაჩნია ამერიკა-საბჭოთა კავშირის კონფერენციის მოწვევა, მაგრამ არ ასახელებს მოწვევის დროს და ადგილს.

ცურუმიმ განაცხადა, რომ ამერიკის კანონის შემდეგ, რომელიც შეეხება იმიგრაციას, იაპონია სერიოზულად დაინტერესდა ციმბირში ემიგრაციის საკითხით.

ცურუმი აღნიშნავდა, რომ შეხამებულია საბჭოთა კავშირის და აზიის კავშირის დამყარება ამერიკის წინააღმდეგ. უკეთებს რა კომენტარიებს ამ გამოსვლებს, ამერიკელი პრესა ერთხმად აღნიშნავს, რომ ცურუმის წინასწარმეტყველებით, ამერიკის პოლიტიკას შედეგად მოჰყვება იაპონიაში მუშების და გლეხების მემარცხენე მოძრაობა.

ალბად ამ შთაბეჭდილების გასაქარწყლების მიზნით ცურუმიმ გამოაქვეყნა ცნობა, რომ თავის სიტყვაში ლაპარაკობდა იაპონიის პროლეტარიატის საერთო ზომიერების შესახებ და აღნიშნავდა, რომ ამ პროლეტარიატის ერთი ნაწილი პროპაგანდას ეწევა საბჭოთა კავშირთან დაახლოვების სასარგებლოთ.

საქართველოს მუშათა კოოპერაციის მდგომარეობა

ამა წლის მეორე ნახევარში როგორც საქართველოს კოოპერატიულ წრეებში, ისე პროფკავშირთა ხელმძღვანელ ცენტრალურ ორგანოებში მიექცა ყურადღება იმ გარემოებას, რომ აქ არსად, თბილისის გარდა, არ არსებობდა მუშათა კოოპერატივები. და ეს მიუხედავად იმისა, რომ ასეთი კოოპერატივების დაარსებას საქართველოს სამრეწველო ცენტრებში მოითხოვდა საღი კოოპერატიული აღმშენებლობის მოსაზრებანი და თვით მუშათა კლასის ინტერესები. ისეთ სამრე[illegible]რებში როგორიც [illegible] ტყვიბული, ბათომი, [illegible]მი არსებობდენ მთ[illegible] ემსახურებოდენ როგორც კოოპერატივში შემავალ მუშების, ისე ახლომახლო სოფლების გლეხობას. ამ უკანასკნელს სამრეწველო ცენტრების კოოპერატივები უკავშირდებოდენ სოფლებში თავისი განყოფილებების გახსნით.

თავისთავად ცხადია, რომ ეს მთლიანი კოოპერატივები, რამდენათაც ისინი გარდა წმინდა სამომხმარებლო ფუნქციებისა—საქონლის მომარაგება-განაწილებისა, აგრეთვე სოფლის ნაწარმოებების დამზადება-გასაღებასაც აწარმოებდენ, არ იყვნენ [illegible] მოქმედების ხასიათით მუშა[illegible]პერატივები. საქართველოს [illegible] ცენტრებში უმთავრესათ [illegible] ბით არსებული მთლიანი კოოპერატივები არაფრით არ განსხვავდებოდენ საქართველოს რომელიმე სოფელში არსებულ სარაიონო მთლიან კოოპერატივისაგან.

ამ მიზეზთა გამო მუშა-მომხმარებელი ნაკლებათ იყვნენ ჩაბმული კოოპერატიულ ცხოვრებაში. მეორე მხრივ ამავე მიზეზით მუშა-მოსამსახურეები ნაკლებათ ახდენდენ რეალიზაციას თავის შრომის ხელფასის კოოპერაციაში—დიდი ნაწილი ხელფასისა კერძო მოვაჭრეების ჯიბეში მიდიოდა.

საქართველოში მუშათა კოოპერაციის ასეთი მდგომარეობის გამო შეუძლებელი ხდებოდა აქ იმ სახელმძღვანელო დებულებათა ცხოვრებაში გატარება, რომელნიც მიღებულ იქნა მუშათა კოოპერაციის შესახებ პარტიის მე-13 ყრილობის მიერ, ვინაიდან საქართველოს კოოპერატიულ სინამდვილეში არ იყო მოცემული მუშათა კოოპერაციის აპარატი, რომელსაც ამ დებულებათა თანახმად ევალებოდა თავისი საქმიანობის გასაფართოვებლათ მთელ რიგ გადამჭრელ ზომების მიღება.

ამ მდგომარეობას გაუწია ანგარიში ცეკავშირის გამგეობამ და ერთ-ერთ თავის სხდომაზე დაადგინა, რათა ჭიათურის, ტყიბულის, ბათომის, ბორჯომის და ფოთის მთლიანი კოოპერატივები გადაკეთებულ ყოფილიყო მუშათა კოოპერატივებათ, ხოლო ვინაიდან ამ მუშათა კოოპერატივებს ახლო-მახლო მდებარე სოფლებში განყოფილებები აღარ ექნებოდათ, ამიტომ განზრახული იყო ასეთ სოფლებიდან ადგილობრივ პირობების და მიხედვით „გამოჭრილიყო“ დამოუკიდებელ მთლიან კოოპერატივების სამოქმედო რაიონები.

ამ სარეორგანიზაციო მუშაობის წარმოება ცეკავშირის საინსტრუქტორო საორგანიზაციო განყოფილების დაეკისრა; ამ უკანასკნელმა გასული ორი თვის განმავლობაში უკვე მოახდინა ფოთის, ბორჯომის, ჭიათურის და ბათომის მთლიანი კოოპერატივების მუშათა კოოპერატივებათ გადაკეთება. ამ მოკლე ხანში, რეორგანიზაცია ჩატარდება ტყვიბულშიაც ამის გარდა საქართ. პროფკავშირთა საბჭოს უკანასკნელ დადგენილებით უნდა მოხდეს ქუთაისის მთლიანი კოოპერატივის გადაკეთება მუშკოოპათ*) და მოეწყოს მუშკოოპი ჩათახში.

რა ავლა-დიდება მიიღეს ამ მუშკოოპებმა თავიანთ წინაპარ მთლიან კოოპერატივებისაგან და რა მდგომარეობაში არიან ეს მუშკოოპები დღეს?

ფოთში. მთლიანი კოოპერატივის მუშკოოპათ გადასაკეთებლათ ცეკავშირის მიერ მივლენილი იყო სპეციალური ინსტრუქტორი. მის ჩასვლამდე (ივლისის პირველ დღეებში) კოოპერატივის სარევიზიო კომისიას აღმოეჩინა ნოქრების მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება. ამის შედეგი იყო ფოთის მთლიანი კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარის და ორი ნოქრის დატუსაღება. კოოპერატივის მიმდინარე წლის ანგარიშების გაცნობამ და აგრეთვე კოოპერატივისადმი ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოების დამოკიდებულების გამოკვლევამ დაარწმუნა ცეკავშირი, რომ კოოპერატივის მუშკოოპად გადაკეთება არ იყო მიზანშეწონილი. კოოპერატივს მუშებში სრულიად გასტეხოდა სახელი, მთელი რიგი პირველი საჭიროების საგნებისა კოოპერატივს არ მოეპოვებოდა. მუშები თავის სამუშაო ხელფასს კერძო მოვაჭრეებთან აბანდებდნენ.

ყველა ამ გარემოებათა გამო სათანადო ორგანოების დასტურით გადაწყდა ფოთის მთლიანი კოოპერატივის ლიკვიდაციის მოხდენა.

აგვისტოს 3-ს მოხდა კოოპერატივის რწმუნებულთა ყრილობა, რომელმაც აირჩია სალიკვიდაციო კომისია. ეს უკანასკნელი კოოპერატივის წესდების თანახმად ახდენს ამჟამათ მისი საქმეების ლიკვიდაციას. მთლიანი კოოპერატივის ლიკვიდაციასთან ერთად დაიწყო მუშაობა მუშათა კოოპერატივის დასაარსებლათ. ადგილობრივ პარტიული და პროფესიონალური ორგანოების მონაწილეობით—ჩატარდა ეს კოოპერატიული კამპანია. სხვადასხვა დარგების მუშები ოვაციებით შეხვდენ მუშკოოპის დაარსების იდეას. მეორე მხრივ მუშების დამქირავებელმა დაწესებულებებმა აღუთქვეს მუშებს ჯამაგირების ანგარიში ერთბაშათ კოოპერატივში საპაიო გადასახადების შეტანა.

ამ კოოპერატიულ კამპანიის შედეგათ მუშკოოპში ჩაწერილი აღმოჩნდა 1.500-მდე ადგილობრივი მუშა-მოსამსახურე. ამათგან არჩეულ იქნა 70 რწმუნებული მუშკოოპის. ამ წევრებისაგან შემოვა 6000 მანეთამდე საპაიო. ამის გარდა უზრუნველყოფილია [illegible]

გან“, „ვსეკობანკისაგან“ და ცეკავშირისაგან, აგრეთვე ფოთის აღმასკომიც დიდ დახმარებას უწევს და გაუწევს მომავალში მუშკოოპს.

ფოთის მუშკოოპის რწმუნებულთა პირველი ყრილობა მოხდა 12 აგვისტოს. მან აირჩია გამგეობა, საბჭო და სარევიზიო კომისია.

აღსანიშნავია ფოთის მუშების შეგნებული დამოკიდებულება კოოპერაციის საკითხისადმი: მიუხედავათ იმისა, რომ მათ სულ რამოდენიმე თვის წინეთ ჰქონდათ გადახდილი საპაიო გადასახადები ფოთის მთლიან კოოპერატივში, ისინი სრულის ნებაყოფლობით და შეგნებით წავიდენ ახალ მსხვერპლზე და ხელმეორეთ გამოიღეს ახალი საპაიო გადასახადი.

ბორჯომში. ამა წლის 3 ივლისამდე არსებობდა მთლიანი კოოპერატივი. 3 ივლისიდან იგი გადაკეთებულ იქნა მუშკოოპათ. გადაკეთებას წინ უძღოდა შესაფერი სააგიტაციო მუშაობა, რომელსაც ადგილობრივ მუშათა ფართო კრებებზე აწარმოებდენ ადგილობრივი პარტიული და პროფესიონალური ორგანოები ცეკავშირის ინსტრუქტორის მონაწილეობით.

კოოპერატივის რწმუნებულთა 3 ივლისის სხდომამ დაადგინა კოოპერატივი გადაკეთდეს მუშკოოპათ და უკანასკნელმა მიიღოს პირველის აქტივ-პასივი. კოოპერატივს აქვს 6 სავაჭრო ბორჯომში და განყოფილებები წაღვერში და ბაკურიანში.

კოოპერატივის ბალანსი ამა წლის 1 აგვისტოსთვის შემდეგ სურათს გვიჩვენებს: ბალანსის ჯამი 50.920 მან. 21 კაპ., საქონელი 27.060 მან. 55 კაპ., საკუთარი თანხები 14.280 მან. 73 კაპ., ამაში საპაიო 1.794 მან. 18 კაპ.

კოოპერატივის რეორგანიზაციის შემდეგ მორიგ საკითხათ სდგას ამ რაიონში მომქმედ კოოპერატიულ ორგანიზაციების და გლეხკომების ურთიერთობის მოწესრიგება.

ჭიათურის მუშკოოპი არსებობს ამა წლის 1 აგვისტოდან. იგი შეიქმნა ადგილობრივ მთლიანი კოოპერატივის გადაკეთებით. რეორგანიზაციას წინ უძღოდა კამპანია კოოპერაციაში მუშების შესვლის სასარგებლოდ. კოოპერატივს ჰყავს 1.300-მდე წევრი. უმრავლესობა შავი ქვის მუშებია, რომელთა საპაიო და საწევრო გადასახადი „ჩემოს“ მიერ იქნა შეტანილი კოოპერატივში. წინანდელ მთლიან კოოპერატივს ჭიათურის ახლო-მახლო სოფლებში ჰქონდა თავისი განყოფილებები. ამ სასოფლო რაიონისათვის

მთლიანი კოოპერატივის შექმნამდე მუშკოოპი იქ იმუშავებს ამ განყოფილებათა საშუალებით.

ბათომში ადგილობრივი მთლიანი კოოპერატივი გადაკეთებულ იქნა მუშკოოპად 23 ივლისიდან. ბათომის მუშკოოპში ამჟამად ირიცხება 3.275 წევრი. საპაიო და საწევრო გადასახადი განისაზღვრება 3 მან. 30 კაპ. აქვს ერთი ცენტრალური საწყობი და ერთი ცენტრალური მაღაზია. მუშათა ოთხ უბანში აქვს განყოფილებები, აქვს აგრეთვე ქალაქის სხვადასხვა უბნებში ხუთი ფურნე და ხუთი ნავთის დუქანი. კოოპერატივს აქვს გახსნილი მუშებისათვის მოკლევადიანი კრედიტი.

საქართველოს მუშათა კოოპერატივების ეხლანდელ მდგომარეობის გაცნობამ აღძრა ცეკავშირთან ახლად დაარსებულ მუშათა კოოპერაციის სექციაში მთელი რიგი ახალი საკითხებისა: მუშათა კოოპერატივებისათვის კავშირში კრედიტის გადიდებაზე, მათთვის საბანკო კრედიტის გახსნაზე, საქონლის მომარაგება-მიწოდების წესზე და სხვა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი შეიქნა საკითხი ცეკავშირში ისეთი აპარატის შექმნაზე, რომელიც მუშათა კოოპერატივების დაკვეთების აღსრულებაზე და მათთვის საქონლის შეძენაზე გამუდმებით იზრუნებს. ეს საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ მუშკოოპებს არ დასჭირდეთ რამოდენიმე დღით თბილისში წარმომადგენლების გზავნა საქონლის მისაღებათ. ვინაიდან ამ წარმომადგენლების მოგზაურობაზე და თბილისში ცხოვრებაზე გაწეული ხარჯები დიდ ტვირთად აწვება კოოპერატივს და ადიდებს მის ზედნადებ ხარჯებს. ცეკავშირის სავაჭრო დარგთან განზრახულია შეიქმნეს მუშათა კოოპერატივებისათვის სპეციალური მაგიდა. ზემოაღნიშნული სხვა საკითხებიც თანდათან ნახულობენ გადაჭრას როგორც სექციაში, ისე ცეკავშირის გამგეობაში.

სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახლო მომავალში საქართველოს მუშათა კოოპერაცია მტკიცე საფუძველზე დადგება და გაამართლებს იმ მიზნებს, რომელსაც მას უყენებენ კოოპერაციაში გაერთიანებული საქართველოს მუშები.

---

*) ქუთაისის კოოპერატივის რეორგანიზაციის საკითხი პროფ. კავშ. საბჭოდან შევიდა მუშათა კოოპერაციის სექციაში, რომელმაც იგი გადასცა გადასაჭრელათ ცეკავშირის [illegible]

ვინ ეხმარებოდა რუსეთის კონტრ-რ

ბ. სავინკოვის პროცე

სასჯელის შეცვლა

მოსკოვი. 30 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა ბ. სავინკოვს უმაღლესი სასჯელი 10 წლის ვადით დაპატიმრებით შეუცვალოს.

სავინკოვის „მოღვაწეობა“

მოსკოვი, 30 აგვისტო. ბორის სავინკოვის კონტრ-რევოლიუციონური მოღვაწეობის მთავარი მომენტები ასეთია: ყოფილი ტერორისტი, თვითმპყრობელობის ბიუროკრატებზე, კერძოთ კი პლევეზე და დიდ მთავარ სერგ. ალექსანდრეს ძეზე თავდასხმების მონაწილე, სავინკოვი ჯერ კიდევ კერენსკის მთავრობის დროს გამოდის უკიდურეს რეაქციონურ ელემენტებთან ერთად და მხურვალე მონაწილეობას იღებს კორნილოვის აჯანყებაში.

ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ კერენსკისთან და კრასნოვთან ერთად აწყობს კონტრ-რევოლიუციონურ სამხედრო გამოსვლას პეტროგრადის წინააღმდეგ, რომელიც დამარცხებით დამთავრდა. აგრეთვე ამაოდ ცდილობს პეტროგრადისაკენ რამოდენიმე დივიზიის წაყვანას ჩრდილოეთის ფრონტიდან. გენერალ კალედინთან, კორნილოვთან და ალექსეევთან ერთად ის შედის წევრად აღმოსავლეთის კონტრ-რევოლიუციონურ „დონის ცენტრში“ და ადგენს მოხალისე არმიას. ის მიემგზავრება მოსკოვში და პეტროგადში, სადაც გამოჩენილ მონარქისტებთან ერთად ადგენს საიდუმლო ორგანიზაციას, რომელსაც ფინანსიურ დახმარებას აწვდიან უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენლები. ის ამზადებს თავდასხმას ლენინზე და ტროცკიზე. უცხოეთის სახელმწიფოების წარმომადგენელთა [illegible] მატერიალური დახმარებით ის აწყობს კონტრ-რევოლიუციონურ აჯანყებას იაროსლაველში, კოსტრომა და რიბინსკში.

გენერალ კაპპელის რაზმში ის მონაწილეობას ღებულობს შეიარაღებულ ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ ჩეხო-სლოვაკიის ესერებთან მჭიდრო კონტაქტში. კოლჩაკის წარმომადგენლის სახით აწარმოებს მოკავშირეებისაგან კოლჩაკისათვის და დენიკინისათვის დახმარების მიღებას ხალხით, ფულით და სამხედრო მოწყობილობით.

უკანასკნელი რამოდენიმე წლის განმავლობაში აწარმოებს ფართო პროპაგანდას ინტერვენციისათვის, გამოდის სულ ყველა კონტრ-რევოლიუციონურ ჯგუფებთან ერთად, არ ერიდება არავითარ საშუალებას. საბჭოთა რუსეთის და პოლონეთის ომის დროს აწყობს მოხალისეთა არმიას, ხოლო შემდეგში პეტლიურასა და ბალახოვიჩთან ერთად ადგენს ბანდებს, რომლებიც ახდენენ თავდასხმას, მკვლელობებს და დარბევას. მჭიდრო კონტაქტში პოლონეთის გენერალურ შტაბთან და საფრანგეთის სამხედრო მისიასთან ის ქმნის ვარშავში ეგრედწოდებულ „საინფორმაციო ბიუროს“, ამავე დროს აწყობს ჯაშუშთა ორგანიზაციას საბჭოთა რესპუბლიკაში, იარაღს აწოდებს ბანდებს, რომლებიც ახდენენ საზღვრებზე თავდასხმას, შეთქმულებებს და ძარცვას, განსაკუთრებით ფართოდ აწარმოებს საბჭოთა საწინააღმდეგო მუშაობას გენუას კონფერენციის დროს, ცდილობს ჩაშალოს საბჭოთა მთავრობის მოლაპარაკება უცხოეთის სახელმწიფოებთან. მრავალჯერ ცდილობს მოაწყოს თავდასხმა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლებზე უცხოეთში, კერძოთ კი ბერლინში ამხ. ჩიჩერინზე.

სავინკოვის ჩვენება

საბრალმდებლო აქტის წაკითხვა.

სავინკოვის პროცესი დაიწყო 27 აგვისტოს დილით უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში. წაკითხულ იქნა ვრცელი საბრალმდებლო აქტი, რომელშიაც მოყვანილია სავინკოვის მუშაობა დაწყებული რევოლიუციონურ-ტერორისტულ აქტებიდან ცარიზმის დროს, გათავებული ჯაშუშობით პოლონეთის გენერალური შტაბის სასარგებლოდ. თავმჯდომარის პირველსავე შეკითხვაზე, სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ, სავინკოვი დაღებით პასუხს აძლევს.

„იმედების“ გაცრუება.

სავინკოვის ვრცელი ჩვენების მთავარი მოტივი, რომელსაც ის იძლევა აშკარად და დაწვრილებით—ეს არის იმედის გაცრუება რუსეთის კონტრ-რევოლიუციის ყველა ჯგუფებში, კონტრ-რევოლიციის ყველა დამხმარე უცხოეთის სახელმწიფოების გულწრფელობაში იმედის გაცრუება და თავისი მუშაობის შემცდარობის და რევოლიუციის სიმართლის აღიარება.

კავშირი საფრანგეთის ანტანტასთან.

სავინკოვი ასწერს კერენსკის და კრასნოვის უილაჯობას და ბრძოლის უნარმოკლებულობას, დონის ცენტრის შავრაზმულ ხასიათს და მის კავშირს საფრანგეთის სამხედრო მისიასთან მოსკოვში, კერძოდ ნიულანსთან და გრენართან.

აჯანყება იაროსლავლში.

დაუშალა რა სავინკოვს შეიარაღებული აჯანყების მოწყობა მოსკოვში, საფრანგეთის მისიამ ურჩია მას მოეწყო აჯანყება იაროსლავლში და აღუთქვა ერთსა და იმავე დროს ორი ფრანგების და ერთი ინგლისელების დივიზიების გადმოსხმა არხანგელსკში. საფრანგეთის მისია სავინკოვს აძლევდა მნიშვნელოვან თანხებს, მაგალითად, იაროსლავლის აჯანყების წინ მიიღო მან 2 მილ. მანეთი.

მემარცხენე ესერების კავშირი ანტანტასთან.

მოსკოვში აჯანყების მოხდენა ფრანგებმა მიანდეს მემარცხენე ესერებს, რომელთაც აწვდიდენ აუარებელ თანხებს. სავინკოვი ასწერს მის მონაწილეობას ჩეხო სლოვაკიის კონტრ რევოლიუციაში, ესერების და ჩეხო-სლოვაკელ გენერლების ინტრიგებს და უმწეობას, კერძოდ აღიარებას, რომ პირადად მიიღო მისარკისაგან 200,000 მან. სპეციალურად ტერორისტულ მიზნებისათვის.

ვინ ასაზრდოებდა კოლჩაკს

სავინკოვი აცხადებს, რომ კოლჩაკმა ინგლისელებისგან მიიღო 80 მილ. ფრანკი ოქროთი, რომელიც შეადგენდა ინგლისელების მიერ გირაოს ქვეშ მიცემულ იმ ოქროს ფონდის 75 პროცენტს, რომელიც მიითვისა კოლჩაკმა და გაიტანეს ინგლისელებმა შანხაიში. პარიზში და ლონდონში კოლჩაკის და დენიკინის წარმომადგენლის სახით მუშაობის დროს სავინკოვი მოკავშირეების იმედს ჰკარგავს და რწმუნდება, რომ უკანასკნელები ცდილობდენ მხოლოდ რუსეთის დასუსტებას და სარგებლობდენ კონტრ-რევოლიუციით, როგორც საკუთარი ინტერესების დამცველ იარაღით.

მოლაპარ

ის ლაპარაკობს [illegible] ხებ, თუ როგორ აწარმოებდა პირად მოლაპარაკებას მილიერანთან, პუანკარესთან, ლოიდ ჯორჯთან და ჩერჩილთან და ხაზს უსვამს, რომ უკანასკნელი კნელი განსაკუთრებულ დიდ დახმარებას უწევდა მას.

ემიგრაციის დაშლა

ასწერს, რუსეთის ემიგრაციის სრულ დაშლას და თანდათანობით მის მიერ იმედის გაცრუებას კონტრ-რევოლიუციის შესაძლებლობაში.

კავშირი პილსუდსკისთან

მან კავშირი დაიჭირა პილსუდსკისთან საბჭოთა რუსეთთან ომის მოსამზადებლად. საფრანგეთის სამხედრო მისიის ფინანსიური დახმარებით ვარშავაში სავინკოვი ადგენდა მოხალისეთა არმიას. ის თანამშრომლობდა ბულახ-ბალახოვიჩთან, რომელსაც უწოდებს ნამდვილ ბანდიტს, მძარცველს და „პოგრომჩიკს“.

სავინკოვი—ჯაშუში.

შემდეგ, როდესაც შეუძლებელი გახდა მოწყობა კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობის, ეგრედწოდებული „მწვანე გლეხური მოძრაობის“, სავინკოვი იწყებს ჯაშუშობას პოლონეთის გენერალური შტაბის და საფრანგეთის სამხედრო მისიის სასარგებლოდ. ის აღიარებს, რომ საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილებით მისი პოლონეთიდან გადასახლების შემდეგ ის ანახლებს მოლაპარაკებას დასავლეთის მთავრობებთან: სავინკოვი ლაპარაკობს აგრეთვე მუსოლინთან მისი უნაყოფო მოლაპარაკების შესახებ. პრაგაში ყოფნის დროს სავინკოვი ამჩნევს, რომ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის მიერ სუბსიდიების მიცემა ესერებისათვის ხდება ლეგიონერების მიერ ციმბირიდან გატანილ რუსეთის განძეულობიდან, რომელიც შეადგენდა ეხლანდელი სალეგიონერო ბანკის კაპიტალს. 1923 წელს ზაფხულში სავინკოვი საბოლოოდ დარწმუნდა ინტერვენციის შეუძლებლობაში, კონტრ-რევოლიუციის უშედეგობაში და საბჭოთა ხელისუფლების ცნობის აუცილებლობაში.

უკანასკნელი სიტყვა

უკანასკნელ სიტყვაში ბრალდებული აღნიშნავს, რომ „მას სურს იცოდეს, თუ როგორ მოხდა, რომ ძველმა რევოლიუციონერმა, მეფის მინისტრებზე ათეულ თავდასხმის მონაწილემ, ჩაიდინე უსაშინელესი დანაშაული ჩემი ქვეყნის მუშების და გლეხების წინაშე, გახდა სამშობლოს სისხლისმღვრელ უბედურებათა გამომწვევი“. სავინკოვი აღნიშნავს, რომ მეფის ციხეებში ყოფნამ და შემდეგში ემიგრაციამ მოსწყვიტა ის ხალხთა მასებს, რომელთა განწყობილება მას არ ესმოდა. სავინკოვი ამბობს: „პროლეტარული საბჭოთა რუსეთის ხალხის წარმომადგენლების წინაშე მე ვაცხადებ, რომ ვცდებოდი. მე ამას ვაღიარებ და ვეუბნები ემიგრანტებს [illegible] ვარ რუსეთის ხალხი, მან [illegible] ცნოს საბჭოთა ხელისუფლება“.

სესხი გერმანიისათვის

[illegible]ნი. 30 აგვისტო. ბერლინში [illegible]ულმა ნიუ-იორკელმა ბანკირმა ჯემპეიერმა ხანგრძლივი თათბირი იქონია გერმანიის ფინანსთა მინისტრ ლიუტერთან სარეპარაციო სესხის გამოშვების გამო.

მოლაპარაკება გერმანია-ბელგიის სავაჭრო-ხელშეკრულების შესახებ

პარიზი. 30 აგვისტო. გერმანიის ელჩმა ბრიუსელში კლერმა ითათბირა ბელგიის გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელთან გერმანია-ბელგიის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

რურის ოლქს სცლიან?

ერრიოს შეკითხვა სამხედრო ექსპერტებისადმი.

ნაუენი. 30 აგვისტო. „დეილი ტელეგრაფის“ დიპლომატიურ კორესპონდენტის ცნობით, ერრიო შეეკითხა მოკავშირეთა სამხედრო ექსპერტებს, შესაძლებელია თუ არა საფრანგეთის ჯარების დატოვება რურის ოლქში იმის შემდეგ, რაც ინგლისელებმა დასცალეს კელნის ზონა. მან მიიღო პასუხი, რომ ამ შემთხვევაში გადიდებული უნდა იქნას ჯარების პირადი შემადგენლობა რურის ოლქში. ერიომ განაცხადა, რომ საფრანგეთის ჯარების შემადგენლობის გადიდება შეუძლებელია, და ამიტომ ან რურის ოლქი უნდა იქნას დაცლილი ვადის გათავებამდე, ან ინგლისმა უნდა გააგრძელოს კელნის ზონის ოკუპაცია.

დაპყრობილ ოლქებში

გერმანია პროტესტს აცხადებს ერთა ლიგის წინაშე

ნაუენი. 30 აგვისტო. გერმანიის მთავრობამ მიმართა ერთა ლიგას პროტესტით საარის მთავრობის იმ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რომელიც მიმართულია გერმანელ სკოლების წინააღმდეგ.

როგორ „მიდიან“

ნაუენი, 30 აგვისტო. შტერკრადეში ბელგიელმა უნტერ-აფიცერმა, ჯარების ნაწილის ევაკუაციის წინ მოჰკლა 14 წლის გერმანელი ბავში.

პრესის გამოძახილი

საფრანგეთის პრესა რეიხსტაგში მომხდარ კენჭის ყრის შესახებ

პარიზი. 30 აგვისტო. რეიხსტაგში მომხდარ უკანასკნელ კენჭის ყრის შესახებ „პტი პარიზიენ“ ამბობს: „კომედია დასრულდა. არასოდეს არ ჰქონია რეიხსტაგის სხდომებს ასეთი უბადრუკი სანახაობის ხასიათი. ახალი არჩევნების შიშმა შეაკავშირა ყველა პარტიები. ნაციონალისტები მივიდენ საბოლოო დაცემამდე.

„ჟურნალ“ ამბობს: „რეიხსტაგის დეპუტატებმა მიიღეს სარეპარაციო კანონ-პროექტები მხოლოდ ახალი არჩევნების შიშით“.

„ევრ“ ამბობს: ექსპერტთა გეგმა გატარებული იქნება ცხოვრებაში. მაგრამ ბანკირები, რომლებიც იძლევიან ვალს, ეხლა რამეზედ დაფიქრდებიან, რომ რეიხსტაგს არ შეშინებოდა მოსალოდნელი გაშვებისა, მისი კენჭის ყრა უფრო მეტი ეღირებოდა“.

პანების სამეფოში

ვილნოს რაიონში მოხდა პარტიზანების ახალი გამოსვლები

პილსუდსკი „უფლებების“ გაფართოებას მოითხოვს

მუშებმა ქ. ეზერნში დაიკავეს ქარხანა

ფრთხილად არიან

ვარშავა. 27 აგვისტო. გარეშე საქმეთა მინისტრმა მოახდინა განკარგულება საზღვრებზე თვალყურის დევნების გაძლიერების შესახებ. სხვათა შორის დახურულია ყველა სავაჭრო პუნქტები საქონლის გამოსაცვლელად. ამიერიდან საქონლის გაცვლა-გამოცვლა მოხდება მუდმივ პუნქტებში, რაც საშუალებას მისცემს პოლონეთის ხელისუფლებას თვალყური ადევნოს ვაჭრობის მონაწილეებს.

პარტიზანელების ახალი გამოსვლები.

ვარშავა. 28 აგვისტო. ვილნის რაიონში მოხდა პარტიზანელების ახალი გამოსვლა: მოკლულია ერთი პოლიციელი, დაჭრილია ერთი.

პილსუდსკის პირობა.

ვარშავა. 28 აგვისტო. იმ მოლაპარაკების გამო, რომელიც სწარმოებს პილსუდსკის არმიაში დაბრუნების შესახებ, უკანასკნელმა გამოაქვეყნა ღია წერილი, რომლიდანაც ის გამომდინარეობს, რომ პილსუდსკი დაბრუნების პირობათ აყენებს მისი როგორც არმიის ინსპექტორის, უფლებების გაფართოებას.

ფაბრიკის დაკავება მუშების მიერ.

ვარშავა. 28 აგვისტო. ეზერნში მუშებმა დაიკავეს ქაღალდის ფაბრიკა, რომელშიაც მუშაობს ათასზე მეტი მუშა. მისი დახურვის გამო მუშებს სიმშილით სიკვდილი მოელოდა. პოლიციამ გარეკა მუშები ფაბრიკის შენობიდან.

რა ხდება ჩინეთში

დიდი წყალდიდობა

ჩინეთის მშრომელებს იმედი აქვთ საბჭოთა კავშირის მშრომელთა დახმარების.

პეკინი. 29 აგვისტო. თანდათან ირკვევა, რომ წყალდიდობამ აუარებელი ზარალი გამოიწვია ჩინეთის ბევრ ადგილებში. უბედურებას ადარებენ შარშან იაპონიაში მომხდარ მიწისძვრას. რესპუბლიკის პრეზიდენტის თავმჯდომარეობით დაარსდა დახმარების კომიტეტი, რომელმაც აირჩია ამხ. კარახანი ვიცე-თავმჯდომარეთ. მოსახლეობის გაჭირვება, რომელიც უსახლკაროდ და ულუკმაპუროდ დარჩა, უკიდურეს საზღვარ აღწევს. ჩინეთის საზოგადოებრივ აზრს იმედი აქვს, რომ საბჭოთა კავშირის საზოგადოება გამოეხმაურება ჩინეთის უბედურებას.

მადლობის დეპეშა.

მოსკოვი. 29 სექტემბერი. საბჭოთა კავშირის მთავრობის მიერ ჩინეთის მთავრობისათვის თანაგრძნობის გამოცხადების საპასუხოდ, ჩინეთში მომხდარ წყალდიდობის გამო, გარეშე საქმეთა მინისტრი ველინგტონ-კუ ამხ. ჩიჩერინის სახელზე გამოგზავნილ დეპეშაში მადლობას უცხადებს საბჭოთა კავშირის მთავრობას.

კომუნისტების გავლენის ეშინიათ

ლონდონი. 26 აგვისტო. რეაქციონერების ორგანო „მორნინგ პოსტ“ სწერს:

„ამბობენ, რომ პერ'ელი და ქოლხედი ინგლისის მთავრობის გადადგომით ემუქრებოდენ, თუ ხელშეკრულების ის გეგმა, რომელიც საბჭოთა დელეგაციამ წარმოადგინა, არ იქნება მიღებული დაუყოვნებლივ.

ის გარემოება, რომ პრემიერი და მისი კოლეგები ტერორის ქვეშ იმყოფებოდენ და დათმობაზე წავიდენ, მოწმობს იმას, რომ კომუნისტები ჩვენს ქვეყანაში დიდი გავლენით სარგებლობენ. ყველა პარტია როდი შეძლებდა იძულებული გაეხადა ინგლისის მთავრობა შეესრულებია მისი ნება“.

გაზეთი თავის წერილს ათავებს მოთხოვნით მიღებული იქნეს კანონიერი ზომები კომუნისტური პროპაგანდის შესაწყვეტათ ინგლისში.

სხვა და სხვა ამბები

— **ცალიერი რეზოლიუცია.** ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტების წარმომადგენლების კონფერენციამ მიიღო რეზოლიუცია შეიარაღების შემცირების შესახებ.

— **ტენნისი ბერლინში.** ბერლინის პრემიერი ტენისი მომავალ კვირაში ბერლინში მიემგზავრება.

— **ერთა ლიგის სესიაზე.** საფრანგეთის დელეგაციაში ერთა ლიგის სესიაზე შევლენ: ერრიო, ლეონ ბურჟუა, პენლევე, პოლბონკური, ანრი დე-ჟუვენელ, სარრო, ენნესი ხონნე, ჟუო და კამბენი.

— **ანატოლ-ფრანსის ავადმყოფობა.** ანატოლ ფრანსის მდგომარეობა კრიტიკულია. ექიმებს იმედი აქვთ, რომ მისი მძლავრი ორგანიზმი გადაიტანს კრიზისს.

— **საფრანგეთის ჯარის მანევრები.** ელზას ლორენში დაიწყო საფრანგეთის ჯარის დიდი მანევრები. მანევრებში მონაწილეობას იღებს 400 ჰაეროპლანი.

— **ბულგარეთში.** ბულგარეთში გრძელდება მუშების მასიური დაპატიმრება. სამთო-სამრეწველო რაიონში კვლავ დააპატიმრეს 30 კაცი.

— **ერცბერგერის მკვლელის გაქცევა.** გერმანიის ყოფილი მინისტრის ერცბერგერის მკვლელი ფაშისტი ტილისენი პოლიციის „დაუდევრობის“ გამო გაიქცა.

— **ინგლისის იმპერიალიზმი.** იტალიის გაზეთები სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ მუსოლინის მთავრობა ახლო ხანში ეგეის ზღვის კუნძულებს, რომელიც საბერძნეთს ეკუთვნის იტალიის კუთვნილებათ გამოაცხადებს.

— **როგორ ხვდებიან მუშები ვანდერველდეს.** ბელგრადში იმ შენობაში, სადაც მოხსენება უნდა წაეკითხა მეორე ინტერნაციონალის ბელადს ვანდერველდეს, რომელიც ეხლა მოგზაურობს ბალკანეთზე, შეკრებ[illegible] მოაწყვეს მის სა[illegible]ტაცია. ვან[illegible] მოხსენების [illegible] მუშები ა[illegible]

საქართველოს საგანგებო კ

[illegible]

მენშევიკების არალეგალურმა ცენტრალურმა კომიტეტმა და [illegible] თეთრგვარდიელთა ორგანიზაციამ, რომელიც ცნობილია [illegible] პარიტეტული კომიტეტის სახელწოდებით, საბჭოთა ხელისუფლების [illegible] მის სამწახევარი წლის არსებობის განმავლობაში თავის მ[illegible] ბის ყურადღების ცენტრში ჰქონდა შეიარაღებული აჯანყ[illegible] მოწყობა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობათ. იმ დოკუმენ[illegible]დან, რომლებიც აღმოაჩნდა ნოე ხომერიკს, გ. ფაღავას და [illegible] მძღვრიშვილს, სრულებით ნათელი გახდა, რომ მენშევიკებმა [illegible] სხვა ბანდიტურმა პარტიებმა საბოლოოდ ამოირჩიეს ეს ავანტიურისტ[illegible] გზა. დაჭერის დროს ბენია ჩხიკვიშვილისაგან ჩამორთმეულ ნოე ჟორდა[illegible] სადირექტივო წერილი აჯანყებისაკენ მოწოდებით და ვალიკო ჯუღელის [illegible]რილები გვიჩვენებენ, რომ მენშევიკები გადავიდენ უახლოეს დროში ბან[illegible]ტურ გამოსვლების მოწყობაზე საქართველოს საბჭ. ხელისუფლების წი[illegible]ღმდეგ. უკანასკნელ დრომდე საქართველოს საგანგებო კომისია მ[illegible] ფიქრობდა, რომ კონტრ-რევოლიუციონური პარტიები: მენშევიკები, [illegible]ციონალ-დემოკრატები, მემარჯვენე ფედერალისტები და სხვ. ვერ გა[illegible]ვდენ თავის გეგმათა განხორციელებას ასეთი ავანტიურების უაზრო[illegible] გამო, მაგრამ უკანასკნელი დღეების ამბები, როდესაც მენშევიკ[illegible] ბანდიტებმა თავადებთან, აზნაურებთან გენერლებთან და ვაჭრებთან ერ[illegible] მოახდინეს შეიარაღებული გამოსვლა ჭიათურაში და საქართველოს ზოგი[illegible] სხვა ადგილებში, კიდევ ერთხელ გვიჩვენებს იმას, რომ საზღვარი არ [illegible] კონტრ-რევოლიუციონერთა ზრახვებს და რომ პროლეტარული ხე[illegible] უფლების მიერ ბოროტმოქმედთა, რომელიც მშრომელთა მასებს ა[illegible] სისხლიან ავანტიურაში, მხოლოდ უსასტიკესი დასჯით არის შესაძ[illegible]ბელი ქვეყნის ხსნა ამ უაზრო ცდათა განმეორებისაგან. ამიტომ სა[illegible]თველოს საგანგებო კომისია ადგენს, რომ ყველა ქვემოჩამოთვლილი პ[illegible]ბი, როგორც პროლეტარიატის წინააღმდეგ აჯანყების მომწყობნი [illegible] როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების შეურიგებელი მტრები და[illegible]ჯილნი იქნან უმაღლესი სასჯელით—დახვრეტით:

1. **ხომერიკი ნოე**—პარიტეტული კომიტეტის თავმჯდომარე, მენშევიკური ცეკას და საზღვარგარეთის ბიუროს წევრი.
2. **ჯუღელი ვალიკო**—პარიტეტული კომიტეტის მენშევიკური [illegible]კას და საზღვარგარეთის ბიუროს წევრი.
3. **ჩხიკვიშვილი ბენია**—მენშევიკური ცეკას წევრი.
4. **ფაღავა გოგიტა**—პარიტეტული კომიტეტის და მენშევი[illegible] ცეკას წევრი, ტერორისტული აქტების ორგანიზატორი.
5. **წინამძღვრიშვილი გიორგი**—პარიტეტული კომიტეტის და [illegible]ციონალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წევრი.
6. **ნოდია ვასილი**—ცეკას წევრი, პარიტეტულ კომიტეტთან [illegible]ბულ სამხედრო კომისიის თავმჯდომარე.
7. **ყარალაშვილი სოლომონ**—ყოფილი გენერალ-მაიორი, თა[illegible] დასავლეთ საქართველოს შეიარაღებულ ძალების მთავარ-სარდალი.
8. **კოღუაშვილი მიხეილ**—მემარჯვენე სოციალისტ-ფედერა[illegible]ტი, პარიტეტულ კომიტეტთან არსებულ ტერორისტული ჯგუფის თ[illegible]ჯდომარე.
9. **ცინცაძე ვიქტორ**—მენშევიკების საზღვარგარეთის ბი[illegible] რწმუნებული, ჩამოსული საქართველოში აჯანყების მოსაწყობათ.
10. **ასათიანი თედორე**—ქუთაისის მენშევიკური საოლქო კ[illegible]ტეტის თავმჯდომარე, ქუთაისის და მის რაიონების სამხედრო ორგან[illegible]ციის ხელმძღვანელი.
11. **ჩხეიძე რაფიელ**—ბათომის მენშევიკური კომიტეტის თავმჯ[illegible]მარე, რომელიც ხელმძღვანელობდა მათითაიშვილის და მუხაშარიას ბა[illegible]ებს ოზურგეთში.
12. **ჩიტაიშვილი ვასო**—ბათომის სამხედრო ორგანიზაციის ხე[illegible]ძღვანელი.
13. **სალუქვაძე გიორგი**—ოზურგეთის არალეგალური მენშევი[illegible] კომიტეტის თავმჯდომარე.
14. **საბაშვილი მიხა**—ბათომის კომიტეტის თავმჯდომარე და მე[illegible]შევიკური ცეკას წევრი.
15. **ცომაია ვანო**—ოზურგეთის სამხედრო ორგანიზ. თავმჯდომ[illegible]
16. **ცისკარიშვილი გაბო**—დამფუძნებელი კრების წევრი ექს[illegible]პრიაციების ორგანიზატორი პარიტეტული კომიტეტის დავალებით.
17. **გვალია მიხეილ**—ნაციონალ-დემოკრატთა [illegible] საქართველოს კომიტეტის წევრი, სადგურ ბოსლევში (ჭიათურის ხა[illegible] სამგზავრო მატარებლის გაძარცვის ხელმძღვანელი.
18. **გარდაფხაძე ნესტორ**—ზემო-სვანეთის სამხედრო ორგანიზა[illegible]ების ხელმძღვანელი, ყოფილი თავადი.
19. **ლევზუაძე ლეო**—ნაციონალ-დემოკრატთა ცეკას წევრი ექს[illegible]პრიაციების ხელმძღვანელი პარიტეტული კომიტეტის დავალებით.
20. **თევზაძე სარდიონ**—დამფუძნებელი კრების ყოფ. წევრი, [illegible]ატიმრებამდე თბილისის არალეგალური კომიტეტის მდივანი, უკანასკ[illegible]ებში ღებულობდა აქტიურ მონაწილეობას მენშევიკურ ცეკას დავა[illegible]ით სამხედრო მუშაობაში.
21. **სვანიძე გედეონ**—ახალგა[illegible]და მემარჯვენე სოციალისტ-ფე[illegible]რალისტების ცეკას წევრი, რომელმაც პარიტეტულ კომიტეტის დავა[illegible]ით აქტიურ მუშაობაში ჩააბა თავის ორგანიზაცია.
22. **დადიანი მუშნი**—ყოფილი თავადი, პარიტეტული კომი[illegible] რწმუნებული ბანდების შესადგენად სისხლის სამართლის დამნაშავე[illegible]
23. **კაპანაძე ვარლამ**—შორაპნის სამხედრო მენშევიკური [illegible]ის თავმჯდომარე, რომელმაც პარიტეტული კომიტეტის და[illegible] გვალიასთან ერთად მოაწყო სამგზავრო მატარებლის გაძარცვა [illegible] ბოსლევში.
24. **დადიანი ოთარი**—ყოფილი თავადი, სამხედრო ორგანიზა[illegible]ის ხელმძღვანელი სამეგრელოში, რომელსაც რწმუნება ჰქონდა მიღ[illegible]ი უშუალოდ პარიტეტული კომიტეტისაგან.

რეიხსტაგმა დაადასტურა გერმანიის დამონება

ახალი არჩევნების შიშით გერმანიის ბურჟუაზიული პარტიები შეთანხმდე

რეიხსტაგმა დაამტკიცა ლონდონის ხელშეკრულება

დაპყრობილ ოლქებში ოკუპანტები „წასვლის“ წინ აწიოკებენ ხალხს

სოციალ-დემოკრატიის იმედები

ბერლინი. 28 აგვისტო. რეიხსტაგის კულუარებში დღეს, სადილის შემდეგ, სრული აზრთა სხვა და სხვაობა სუფევს.

მხოლოდ პარტიულ კაპიტალზე ზრუნავენ

სოციალ-დემოკრატები უპირატესობას აკუთვნებენ რეიხსტაგის გაშვებას და ახალ არჩევნების დანიშვნას. მათი აზრით მიზანშეუწონელია დოუესის გეგმასთან დაკავშირებულ კანონპროექტების მიღება, რაც გამოიწვევდა ბურჟუაზიულ ბლოკის შექმნას და ე. წ. პრუსიის კოალიციის დაშლას. საარჩევნო კამპანია, თუ ამას ადგილი ექნა, ჩატარებული იქნება ლონდონის შეთანხმების ლოზუნგის ქვეშ, ამასთანავე პერსპექტივები ცენტრის პარტიებისა და სოციალ-დემოკრატებისათვის საერთოთ სასურველად ითვლება, ვინაიდან გერმანიის ეკონომიურ ცხოვრების განმტკიცების იმედი ჯერ არ გამქრალა. რადიკალურ პარტიებს კი, პირიქით, მოელისთ მანდატების დაკარგვა.

მაშინ, როდესაც ტევტონელებს და ნაციონალისტებს ეშინიათ ახალი არჩევნების, კომუნისტები სრულიად დამშვიდებული არიან, თუმცა კომუნისტური პროპაგანდა საარჩევნო კამპანიის დროს ძალიან ძნელი იქნებოდა, ვინაიდან ბევრ კომუნისტ-დეპუტატებს წაერთმევათ იმუნიტეტი და აკრძალული იქნება სისტემატიურად კომუნისტური პრესა.

ხვალინდელი დღის წესრიგის უკანასკნელ მუხლად, კანონპროექტების საკითხის გადაჭრის შემდეგ, დასმული იქნება ტევტონელების და კომუნისტების შეკითხვები ამნისტიის შესახებ.

კენჭის ყრა გადაიდო

ბერლინი. 28 აგვისტო. ნაციონალისტები მოლაპარაკებას აწარმოებენ შტრეზემანთან. სოციალ-დემოკრატების წინადადება კანონპროექტების მესამე წაკითხვის შემდეგ კენჭის ყრის დღესვე დასრულების შესახებ უარყოფილი იქნა ხმების უმრავლესობით წინააღმდეგ კომუნისტებისა.

ნაციონალისტებმა თავი შეიკავეს ხმის მიცემისაგან. რეიხსტაგის გაშვება საეჭვოა.

ნაციონალისტები „შეთანხმების“ წინააღმდეგ

ბერლინი. 28 აგვისტო. ბერლინში გამართულმა ნაციონალურ პარტიის ორგანიზაციის ხელმძღვანელთა კრებამ ხმების უმრავლესობით, წინააღმდეგ სამისა, ხმა მისცა ლონდონის ხელშეკრულების უარყოფას. ნაციონალისტების მიერ შეტანილ შესწორებაში წამოყენებულია შემდეგი [illegible]ნილებანი: შესავალი კანონი [illegible] ძალაში მას შემდეგ, რაც მიღებული იქნება საერთაშორისო საპრინციპებზე დამყარებული [illegible]ბი, რომ ევაკუაცია მოხ[illegible] უგვიანეს 10 იანვრისა [illegible] შემდეგ, რაც გერმანიის [illegible] ოფიციალურად უარჰყოფს თავის პასუხისმგებლობას ომის გამოწვევისათვის. რეზოლიუცია მოითხოვს აგრეთვე დიპლომატიურ მოლაპარაკების განახლებას იმ ტვირთის შესამსუბუქებლად, რომელსაც აკისრებს გერმანიას დოუესის გეგმა. ნაციონალისტების მოთხოვნილებას ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში მიუღებლად ხთვლიან მთავრობის პარტიებისათვის.

კანონპროექტის მესამე კითხვა ჯერჯერობით უინციდენტოთ გრძელდება. შტრეზემანი თავის გრძელ სიტყვაში შეეხო მემარჯვენე ოპოზიციის არგუმენტაციის გაბათილებას.

[illegible]ნისტ დეპუტატებს აპატიმრებენ

[illegible] 28 აგვისტო. ნაციონა[illegible]ტანეს მთავრობის პარ[illegible]ობისათვის სრუ[illegible]რება დოუე[illegible] კანონ-[illegible] მდგომარეობა გამწვავდა და მოსალოდნელია კრიზისი. პოლიციელების გაძლიერებული რაზმები ეძებენ [illegible] დეპუტატების [illegible] გაშვებას

მუშები „შეთანხმების“ შესახებ

ლონდონი. 28 აგვისტო. მთელი რიგი ინგლისურ გაზეთებისა, მათ შორის „დეილ გერალდ“-იც აქვეყნებს ნაწყვეტებს ინგლისის პროფკავშირთა ოპოზიციონური უმცირესობის მანიფესტიდან, რომელიც ეგზავნება ტრედიუნიონების კონგრესს, რომელიც იხსნება გულში.

მანიფესტი ახასიათებს ინგლისის მთავრობას, როგორც „კაპიტალისტური სახელმწიფოს მსახურს და სავაჭრო და სამრეწველო წრეების ინტერესების დამცველს“.

მანიფესტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „დოუესის გეგმა წარმოადგენს გერმანიის მუშათა კლასს გადაქცევას ინგლისის, საფრანგეთის და ამერიკის კაპიტალიზმის სამრეწველო ახალშენად.

იმ ზომების განხორციელება, რომლებიც გათვალისწინებულია დოუესის გეგმაში და რომ[illegible] თანხმდა მუშათა მთავრობა, ნიშნავს 10 საათის სამუშაო დღის დაწესებას გერმანიის მუშებისათვის. ეს ზომები ბოლოს და ბოლოს გავრცელებული იქნება ინგლისის მუშებზედაც“.

რეიხსტაგმა დაამტკიცა „შეთანხმება“

ნაუენი, 30 აგვისტო. 314 ხმის უმრავლესობით 441 ხმიდან რეიხსტაგმა მისცა ხმა ყველა სარეპარაციო კანონპროექტების მიღებას, მათ რიცხვში რკინისგზების კანონპროექტის მიღებასაც. ამგვარად, ლონდონის შეთანხმება დამტკიცებული იქნა. ნაციონალისტების მოტივებზე, რამაც აიძულა ისინი ხმა მიეცათ კანონპროექტებისათვის, დადის ხმები, რომ ნაციონალისტებმა მოითხოვეს კომპენსაციის სახით კაბინეტის ზოგიერთ წევრების გადაყენება.

ნაციონალისტების შესწორებანი

ნაუენი. 30 აგვისტო. კანცლერმა მარქსმა რეიხსტაგის სხდომაზე განაცხადა, რომ მთავრობა თანახმა მიიღოს ნაციონალისტების შესწორება რურის ევაკუაციის დაჩქარების შესახებ.

მთავრობამ, განაცხადა მარქსმა, ზეგავლენას მოახდენს მოკავშირეებზე და იმედი აქვს, რომ ევაკუაცია მოხდება ერთი წლის ვადის გასვლამდე“.

ნაციონალისტების განცხადების გამო, გერმანიის გადასახადების საბოლოო ჯამის გამორკვევის შესახებ, კანცლერმა მარქსმა განაცხადა, რომ საიმპერიო მთავრობა მოლაპარაკებას აწარმოებს ამის შესახებ მოკავშირეებთან.

ხელის მოწერა „შეთანხმებაზე“

ლონდონი. 30 აგვისტო. დღეს გარეშე საქმეთა სამინისტროს შენობაში, რომელშიაც სწარმოებდა ლონდონის კონფერენციის პლენარული სხდომები, მოხდა ოფიციალურად ხელის მოწერა იმ შეთანხმებებზე, რომლებიც მიღებულ იქნა კონფერენციაზე.

შეთანხმების ოქმში შედის 4 დამატება.

პირველი მათგანი წარმოადგენს შეთანხმებას სარეპარაციო კომისიისა და გერმანიის მთავრობას შორის, [illegible] კომისიის შესახებ და შეეხება ნატურით მიწოდებას.

მესამე და მეოთხე დამატება ეხება არბიტრაჟის და რურის ევაკუაციის საკითხს.

ყველა ოქმებს ხელს მოაწერენ ინგლისის მხრით ეირ კრაუ, აგრეთვე ინდოეთის, ავსტრალიის, კანადის, სამხრეთ-ფრიკის და ახალი ზელანდიის წარმომადგენლები; ამას გარდა ოქმებზე ხელს მოაწერენ საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, იაპონიის ელჩები.

ამხ. რიკოვის მოგზაურობა

ამხ. რიკოვი სარატოვში

სარატოვი. 30 აგვისტო. ამხ. რიკოვის სარატოვში ყოფნამ მიიღო ქალაქის მშრომელი მოსახლეობის საყოველთაო ზეიმის ხასიათი. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ქალაქში გავლის დროს ქუჩებში გროვდებიან ჯგუფებად მოქალაქეები, რომლებიც მხურვალედ ესალმებიან.

ამხ. რიკოვი რკინისგზელებთან.

რიკოვი გამოვიდა მოხსენებით რკინისგზის დიდ სახელოსნოებში იმ ადგილას, სადაც 23 წლის წინ მან დაიწყო თავისი რევოლიუციონური მოღვაწეობა და მოაწყო პირველი სოციალ-დემოკრატიული წრეები. შეკრებილი მუშები ხვდებიან რიკოვს მქუხარე ტაშისცემით.

ინგლისთან შეთანხმება.

ამხ. რიკოვმა გააკეთა მოხსენება შინაურ და საგარეო პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ. დაწვრილებით შეჩერდა საბჭოთა კავშირის და ინგლისის ხელშეკრულებაზე და მიუთითა იმ როლზე, რომელიც აქვს მას ჩვენი საერთაშორისო, პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობისათვის მახლობელ პერიოდში. ჩამოთვალა რა სესხის შესაძლებელი პირობები, დაახასიათა რა მისი როლი მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის მდგომარეობის განმტკიცებაში, ამხ. რიკოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ სესხის მიღების შემთხვევაში ყოველი მუშა იკისრებს მის პასუხისმგებლობას თავისი შრომით.

სოფლის მეურნეობა.

ამხ. რიკოვმა აღნიშნა, რომ მრეწველობის საკითხებთან ერთად მთავარ როლს ჰფენს [illegible] ფასის რაოდენობასაც. პროლეტარიატმა უახლოესი მონაწილეობა [illegible] და მიიღოს გლეხობის სასო[illegible] მეურნეობის ახალი ფორმების [illegible]ყობაში, რასაც შეუძლია [illegible] გვალვის შედეგების თავიდან აცდე[illegible]

პურის ექსპორტი.

პურის ექსპორტის საკითხის [illegible] ხებ ამხ. რიკოვმა განაცხადა, რომ ექსპორტი დაიწყება მხოლოდ [illegible]ჭოთა კავშირის მთელი ერთი [illegible] მოთხოვნილების დაკმაყოფ[illegible] შემდეგ, პურის ფასების მო[illegible] გებელ ფონდის მითვლით. მთ[illegible] მისალმებათა საპასუხოდ ამხ. [illegible]მა მადლობა გადაუხადა სარ[illegible] პროლეტარიატს, რომელმაც [illegible] და ის 20 წლის რევოლიუცი[illegible] მუშებისათვის.

ამხ. რიკოვი ქალაქის საბჭოს სხდომაზე.

საღამოს ამხ. რიკოვი და[illegible] სარატოვის ქალაქის საბჭოს [illegible] მას. იმ თეატრის მახლობლად [illegible] სწარმოებდა სხდომა, შეიკრი[illegible] დენი ხალხი, რომლის მსგავსი [illegible] ახსოვს სარატოვს. მოედანზე და [illegible] ლობელ ქუჩებში მოზღვავდა 40[illegible] მუშა, რომელთაც უნდოდათ [illegible] სახელოვანი თანამემამულე [illegible] ლიც ეხლა ხელმძღვანელობს მუშათა და გლეხთა მთავრო[illegible] ბას. თეატრის აივანიდან ამხ. რიკოვმა მიმართა სარატოვის მ[illegible] ლებს სიტყვით, რომელშიაც [illegible] თა ამ ქალაქის სახელოვან [illegible] რუსეთის რევოლიუციის მსვლე[illegible] ში. ქალაქის საბჭოს საზეიმო [illegible] მაზე ამხ. რიკოვი არჩეულ იქ[illegible] მივ საპატიო თავმჯდომარედ. [illegible] რიკოვს ადგილობრივ ორგა[illegible] ციების გარდა, მიესალმენ [illegible] მზარეების გლეხები [illegible]

გამოვიდა და „კომუნისტი“-ს

დღევანდელ ნომერთან ერთად ურიგდება ხელის მომწერლებს ჟურნალ „ჩირაღდანი“-ს

ორმაგი № 15—16.

შინაარსი 1. ახალი წესით—მოთხრობა. ს. ბუხურაულის, 2. ოდა ვოლოდის—მ. მაიაკოვსკის, 3. ფეხსაცმელების მწმენდავის სიმღერა—ნ. ჭამელეთელის, 4. საპყარის ტყვეობაში—გ—ძის, 5: საყვირი—[illegible], 6. ცნობები ალექსანდრე და დიმიტრი ყაზბეგის შესახებ (ყაზბეგის სურათით)—დ. ხართიშვილი, 7. ჩემი ქვეყანა—ლექსი ს. [illegible], 8. მარტის გრიგალი—ლექსი მაქს ბარტელის, 9. ევრო—ლექსი ბ-ხი, 10. ოცი წლის შემდეგ—ო. გენრი, 11. ესენი და ისინი—ბლასკო იბანიესი, 12. 26-ის ძეგლი, 13. მემანქანე პეტრე—ონისიმე [illegible], 14. ერნსტ ტოლლერი (სურათით), 15. ქროლვა მზისკენ—[illegible], 16. მიქელას ბედი—ლ. მეტრეველი, 17. ხევ-გალმა—[illegible], 18. მზე—ქალა. ნა-ზი, ლიტერატურა, თეატრი, კინო, ფიზკულტურა, ნარევი, მუსიკა, მეცნიერება და ტეხნიკა, ბიბლიოგრაფია, ხელოვნების ქრონიკა.

ამიერ-კავკასიის ცაკის წევრების საყურადღებოდ

ამიერ-კავკასიის ცაკის წევრებისათვის, რომლებიც ჩამოდიან თბილისში ამიერ-კავკასიის ცაკის მეორე სესიაზე,

მოწყობილია საერთო საცხოვრებელი სასტუმრო „ორიანტ“-ში.

ვისაც სურს აღნიშნულ საერთო საცხოვრებელში ადგილის მიღება, ეთხოვა ასეთი აღნიშნულ სასტუმროს ადმინისტრაციისათვის სათანადო მანდატების წარდგენის შემდეგ.

ამიერ-კავკასიის ცაკის საქმეთა მმართველი: მ. შატიროვი.

სამშაბათს, 2 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლის (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია თბილისის საბჭოს მორიგი სხდომა.

დღის წესრიგი:

1) საბჭოს დებულება,
2) მიმდინარე საკითხები.

დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.

პრეზიდიუმი

1—1 ნ. 1.464.

სამშაბათს, 2 სექტემბერს, საღამოს 5 საათზე, სახალხო სახლში (ყოფ. ზუბალაშვილის სახელობის) დანიშნულია

თბილისის საბჭოს ფრაქციის სხდომა

დასწრება ყველა წევრთა სავალდებულოა.

ფრაქციის ბიურო.

1—1 ნ. 1465.

საქართველოს გზატკეცილები

გზების შეკეთება.

სამხრეთ ოსეთში დაიწყო მუშაობა ცხინვალ-ჯავა-როკას გზის აღსადგენად. ცხინვალ-ჯავის რაიონში სწარმოებს გზის შეკეთება, ხოლო ჯავა-როკას შუა კომისია აწარმოებს გზის გასაყვანად ადგილების გამოკვლევას.

ახალი გზატკეცილები.

დაიწყო დიდი მუშაობა სურამიდან ძირულამდე ახალი ფართე გზატკეცილის გასაყვანად.

ხიდის აღსადგენად.

ა | კ-ის ეკონომიური საბჭოს დავალებით სწარმოებს გამოკვლევა [illegible]ების წყლის დანგრეული ხიდის აღსადგენად.

კოჯორ-მანგლისის გზატკეცილი.

საქართველოს გზატკეცილების სამმართველომ გამოიტანა თავის დასკვნა მანგლისთან ახლოს მომხდარ მარცხის შესახებ. დასკვნაში აღნიშნულია, რომ არავითარ შემთხვევაში გზის მდგომარეობა არ ჩაითვლება მარცხის მიზეზად, რადგან გზის ხელახლა დათვალიერებით გამოირკვა, რომ კატასტროფიულ ადგილზე გზატკეცილის განი სამ ნახევარ საჟენს უდრის. კატასტროფის მიზეზად ჩაითვალოს სავსებით ავტომობილის მმართველის გამოუცდელობა.

გზა-ტკეცილის სამმართველო კვლავ აუცილებლად სთვლის, რათა შოფერებმა უსათუოდ შეამცირონ მოძრაობის სიჩქარე მთის ფერდობებზე.

გზატკეცილების სამმართველოს მოსდის ცნობები, რომ მომხდარი მარცხის და მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად, კვლავ განაგრძობენ დაღმართებზე საშინელი სისწრაფით მოძრაობას.

სამმართველო საჭიროთ სთვლის, რომ იმ შოფერების მიმართ, რომელთაც არ სურთ დაემორჩილონ სავალდებულო განკარგულებათ, დაწესებული უნდა იქნეს სასტიკი ჯარიმის ნორმა. თუ კი ეს ზომა მოუხერხებელია, დაუყოვნებლივ უნდა იქნეს აღკვეთილი საბარგო ავტომობილის სიარული კოჯორ-მანგლისის გზაზე, რადგან გზატკეცილების სამმართველოს და ტრანსპორტის ა | კ საოლქო სამმართველოსთან (ომესთან) გამართული საავტოტრანსპორტო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან თათბირის მიერ ეს რაიონი ცნობილი იყო გამოუსადეგრად საავტომობილო მიმოსვლისათვის.

პარტიული ცხოვრება

ცირკულიარული წერილი

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტებს

განათლების მუშაკთა მონაწილეობის შესახებ, ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის ჩატარებაში

რ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურმა კომიტეტმა ხელშეკრულება დასდო სრულიად საკავშირო განათლების მუშაკთა კავშირთან რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ ახალგაზრდობის მეთერთმეტე საერთაშორისო დღისათვის.

წერა-კითხვის უცოდინარობის წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენმა კავშირმა თავის რიგებში დიდი ხანია რაც დაიწყო. ამ ხრივ მიღწეულია ზოგიერთი შედეგები, მაგრამ საბოლოო ლიკვიდაცია წ. კ. უცოდინარობის ჩვენ ვერ შევსძელით.

ხელშეკრულება გან. მუშ. კავშირთან დადებულ ხელშეკრულებით მომავალი წლის სექტემბრის დღესასწაულისათვის ჩვენს კავშირს არ ეყოლება არც ერთი წ. კ. უცოდინარი.

განათლების მუშაკები ამ თავითვე ჩაბმული უნდა იქნენ წ. კ. უცოდ. ლიკვიდაციო მუშაობაში.

7 სექტემბრის ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგთაგანია წ. კ. უცოდინარობასთან ბრძოლა. ამ მიზნით განათლების მუშაკები ჩაბმულ უნდა იქნენ საერთაშორისო ახალგაზრდა დღესასწაულში და მის მოწყობაში.

გევალებათ განათლების მუშაკთა კავშირს გააცნოთ ახალგაზრდათა საერთაშორისო დღის მნიშვნელობა, მისი ამოცანები და ისტორია.

გამართული უნდა იქნას გაერთიანებული სხდომები კომკავშირისა და განათლების მუშაკების ურთიერთშორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ.

დღის მომწყობ სამაზრო და რაიონულ კომისიებში შეყვანილ უნდა იქნეს განათლების მუშაკთა კავშირის წარმომადგენელი.

ს. ა. ლ. კ. კ. ც. კ. მდივნის მაგიერ: ა. კეკელია.

საგ. საპ. განყ. გამგის მაგიერ: ძიგრაშვილი.

კომკავშირის ახმეტ-პანკისის რაიორგანიზაციის შესახებ

(ამხ. ნ. სალირაშვილის საპასუხოთ)

გაზ. „კომუნისტი“-ს № 187-ში ამხ. სალირაშვილმა მოათავსა კორესპონდენცია, სადაც სწერს: „კ. კ. მუშაობას (რაიონში) ნაბიჯით უკან დაუხევია. ამას მოწმობს უბრალო სტატისტიკა. თელავის მაზრაზე შეერთებამდი იყო 12 უჯრ. და 120-ზე მეტი წევრი. დღევანდელ ცნობებით არიან 4 უჯრედი და 47 წევრი, არ [illegible]ლოები“.

ყოველივე ეს სინამდვილეს არ შეეფერება; აი ფაქტებიც.

1. აღნიშნულ რაოდენობის უჯრედები და წევრები თელავის მაზრკომს არ ჩაბარებია და არც ცეკაში ყოფილა ამის მასალები. თუ ეს ორივე [illegible]ზე იწერებოდა, ყალ[illegible] ამოსატანია?!

[illegible] კაცი. წლის გადაცილებულნი—„ბებერი—კომკავშირელნი“, რომელნიც მექანიკურად გამორიცხულ იქნენ. ცუდი და ზედმეტი ელემენტები გაწმენდაში მოჰყვნენ. ამნაირად შემცირდა წევრთა რაოდენობა და ჩამოყალიბდა უჯრედები. ეს არის დიდი პლიუსი ორგანიზაციისათვის და არა უკან დახევა, როგორც ეს აღნიშნულ ამხანაგს ჰგონია. „საქმე ხარისხშია და არა რაოდენობაში“ ამბობს ანდაზა.

3. მაზრკომმა მრავალი საქმიანი ზომები მიიღო ამ რაიონში მუშაობის შესაფერად წარმოებისთვის ადგილობრივ პირობების მიხედვით. რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა, შესრულებულ იქნა. რამოდენიმე თვის განმავლობაში საქმეების მოხდენა არ შეიძლო.

4. [illegible] ჩამორჩენილი რაი[illegible]ნობს ამხ. ნ. სალირაშვილი. ამ რაიონში სცხოვრობს ჩამორჩენილი ხალხი; ამ ქალიშვილთა კავშირში მიღება ეხლა შეუძლებელია, რატომ არ იცის ამხ. სალირაშვილმა, რომ საზოგადოდ მთელ ჩვენს კავშირში უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ ქალიშვილი წევრნი? უპარტიო ქალთა პოლიტწრის დაარსება კი ფრიად უმნიშვნელოვანია ამ სოფელში.

5. შემდეგ ორგანიზაცია დიდათ არ გაზრდილა, ამის მიზეზიც ცხადი უნდა იყოს: „ლენინის გაწვევის“ დროს, (ეს დღესაც გრძელდება) უნდა მიგვეღო უმთავრესად მუშები და მოჯამაგირენიც; პირველნი ამ რაიონში არ არიან, მოჯამაგირენი ზაფხ. პერიოდში გაბნეული არიან შორეულ მთებში და შეუძლებელია მათ შორის მუშაობა. „სადღა არის გლეხური ახალგაზრდობაო“ კითხულობთ. აი პასუხი: მათში სწარმოებს მუშაობა, არიან თანამგრძნობნი და იმყოფებიან ჯერჯერობით კავშირთან, ხოლო როცა გაიხსნება მიღება საერთოდ, მაშინ იქნებიან მიღებულნი.

მეტს არ გავაგრძელებთ, ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ რაიონში მუშაობა სუსტია სხვა კულტურულ რაიონებთან შედარებით. მაგრამ ეს აიხსნება ადგილობრივი პირობებით და არა ადგილობრივ ამხანაგთა უმოქმედობით.

ჟ. ფრანგიშვილი.

ეკონომიური ცხოვრება

საკავშირო სახელმწიფო ბანკის საემისიო განყოფილების ბალანსი

გამოქვეყნებულია ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო ბანკის საემისიო განყოფილების ბალანსი (ამ წლის 16 აგვისტოსათვის). ბანკის აქტივი უდრის 46.100.000 ჩერვონეცს. აქტივი შესდგება შემდეგი ნაწილებიდან: მეტალიური უზრუნველყოფა: 1) ოქრო ფულად და ნაჭრობით —12.479,155 ჩერვონეცი (შემდეგი ანგარიშით: ერთი მისხალი ოქრო—5 მ. 50 კ. ან ერთი გრ.—1 მ. 29 კ.) 2) პლატინა ნაჭრობით—742,679 ჩერვონეცი. უცხოეთის ვალიუტა ბანკნოტების სახით 9.953,939 ჩერვონეცის რაოდენობით (შემდეგი ანგარიშით: გრ. სტ.—8 მ. 25 კ. დოლარი—1 მ. 94 კ. და შვეციის კრონა—50 კაპ.,) ტრატტები უცხოეთის ვალიუტის სახით ირიცხებოდა 343,158 ჩერვონეცზე. მიღებული თამასუქები არსებული შეღავათით 16.690,554 ჩერვონეცისა და ნივთიერ ღირებულებით უზრუნველყოფილი ვალდებულებანი (სესხის) არსებულ შეღავათით — 5.890.515 ჩერვონეცის.

ბანკის პასსივში ირიცხებოდა გამგეობის სალაროში გადაცემული ბანკნოტები (საბანკო ბილეთები) 43.950.000 ჩერვონეცის რაოდენობით. მაშასადამე, აქტივში არსებული უზრუნველყოფა აღემატება პასსივს 2.150.000 ჩერვონეცით, რა თანხაც 16 აგვისტოსათვის წარმოადგენდა თავისუფალ საემისიო ნაშთს.

ამ.-კავ. სახელმწ. ვაჭრობის სამმართველოს ოპერაციები

უკანასკნელ ხანს ამიერ-კავკასიის იმპორტს გამოცოცხლება ემჩნევა. აგვისტოს დამლევს გემ „სირკასსი“-ს, „კარინცია“-სა და „კამენეც პოდოლსკ“-ზე შემოტანილ იქნა სხვადასხვა საქონელი ინგლისიდან, გერმანიიდან, იტალიიდან. ჩეხოსლოვაკიასა და კონსტანტინოპოლიდან სახელდობრ: სასოფლო-სამეურნეო იარაღები და მანქანები, კოლონიალური საქონლები, მედიკამენტები, ქიმები, საღებავი მასალა და სხვა.

ამიერ-კავკ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს დადებული აქვს თბილისის კომუნალურ მეურნეობის განყოფილებასთან ხელშეკრულება 25 ათასი ცალი კაკლის ხის საზღვარგარეთ გატანის შესახებ. ენკენისთვის პირველ რიცხვებში ა.-კ. სახელ. ვაჭრ. სამმართველო მიიღებს ცეკავშირისაგან დაახლოებით 3.000 ფუთ პარკს საზღვარ-გარეთ გასატანათ. გარდა ამისა ა.-კ. სახ. ვაჭრ. სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს სომხეთის სახელმწ. ვაჭრ. სამმართველოსთან სომხეთში კიდევ 3.000 ფუთ პარკის შესყიდვის შესახებ.

საშუალო საბითუმო ბაზრის ფასები

(თბილისის საქონლის სავაჭრო ბირჟის ოფიციალური ცნობით)

საფეიქრო ნაწარმოებნი

ჩითი № 6 მეტრი—39 კაპ. ნარმა სქელი 16 ვერშოკიანი № 53—26 სამი მეოთხედი კაპ. მადაპოლამი 20 ვერშ. მეტრი—45 ნახ. კაპ. სატინი არშინი № 6 მეტრი—47 ნახ. კაპ. მიტკალი სქელი არშინი № 129 მეტრი—31 ნახ. კაპ. მიტკალი იაროსლავის სქელი 10 ვერშოკიანი მეტრი—3[illegible] ნახ. კაპ. მოლესკინი შავი ივ.—კოხნ. მეტრი—69 ერთი მეოთხედი, ტილო შესახვევი არშინი—33 კაპ. ძაფი ზინგ. მანქ. „კანატ“-ი და „იოლკა“ კროსსი—15 მან. 66 კაპ. ძაფი „მედვედ“ კროსსი 22 მან. 41 კაპ.

კოლონიალური საქონლები

ფხვნილი შაქარი რუს.—10 მან. 5 კაპ. შაქარი რაფინადი [illegible]—12 მან. 25 კაპ. შაქარი რაფინადი ნატეხი—1[illegible] მან. ბრინჯი „კულა“—8 მან. მაკარონი და ვერმიშელი 1 ხარისხის—7 მ. 50 კ. ჩაი ცეილონის—18[illegible] მან. ჩაი ჩინეთის—140 მან. ჩაქვის ჩაი—75 მან. დაფნა—1 მან. 50 კაპ. ქვა-მარილი ნახიჩევანის—61 კაპ. მარილი ფქვილი—8 კაპ. ნუში გაწმენდილი—14 მ. 25 კაპ. კაკაო ფქვილი—100 მან.

პურეული

ხორბალი ადგილობრივი—1 მ. 80 კ. სიმინდი 1 მ. 10 კაპ. სიმინდის ფქვილი—1 მ. 8[illegible] კაპ. „პოლუკრუპჩატკა“ პირვ. ხარ.—[illegible] მან. 15 კ. მეორე ხარ.—2 მან. 85 კაპ. მესამე ხარ.—1 მ. 90 კ.

ბოსტნეული

კარტოფილი ფუთი 1 მ. 40 კ. ხახვი—1 მ. 70 კ. კომბოსტო—2 მ. ჭარხალი—1 მ. 20 კაპ. პამიდორი—3 მან.

რძის ნაწარმოებნი

კარაქი პირვ. ხარ.—33 მან. ერბო (გადადუღებული) პირვ. ხარ.—28 მან. ყველი თუშური—14 მან.

კოოპერაცია

ახალ-აბაშის კოოპერატივი

დაბა ახალ-აბაშა არის რაიონული ცენტრში.

აქ არსებობს „ეპო“-ს ორი საფართლო სავაჭრო დუქნებით. მას გახსნილი აქვს თავისი განყოფილება სხვადასხვა თემებში.

ფართალი ძალიან ხელმისაწვდომ და იაფ ფასებში იყიდება შედარებით კერძო ვაჭრებთან. დღეს უკვე დარწმუნებულია აბაშის რაიონის გლეხ-კაცობა „ეპო“-ს უპირატესობაში და მასაც ხალისიანად და თავისი ნება—სურვილით შეაქვს საწევრო გადასახადი. აქვე არსებობს სამკითხველო, რომელსაც გამოწერილი აქვს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთები.

უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ სამკითხველო ღვთის ანაბარა მიტოვებულია მას არ ჰყავს მუდმივი ბიბლიოთეკარი. სამკითხველოში არ მოიპოვება არც ერთი წიგნი. შიგნით ისეთი უსუფთაობაა, რომ იქ გაჩერება შეუძლებელია. ფანჯარას არცერთს მინა არა აქვს. საჭიროა ამ სამკ. ყურადღება მიაქციოს ვისგან ჯერ არს, თორემ სირცხვილია რაიონის ცენტრში ასეთი სამკითხველო.

გრ. ონტოფელი.

კოოპერაცია დუშეთის მაზრაში

ცეკავშირის დუშეთის განყოფილების მიერ გაწეულმა საქმიანობამ საკმაოთ შეამზადა გლეხობაში ნიადაგი კოოპერატიულ მშენებლობაზე გადასასვლელათ. ამას გაუწია ანგარიში ცეკავშირის გამგეობამ და თავის ერთერთ სხდომაზე ივლისის დასაწყისში დაავალა ცეკავშირის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილებას, რათა მას მიეღო ზომები დუშეთის მაზრაში არსებულ ცეკავშირის განყოფილების სავაჭრო პუნქტების კოოპერატივებათ გადასაკეთებლათ. ამ კამპანიის მაზრაში ატარებდა ცხოვრებაში ცეკავშირის ორი ინსტრუქტორი. ამ უკანასკნელებმა გამოარკვიეს წინასწარ, რომ განყოფილების ხუთი განმანაწილებელი პუნქტი ემსახურება საქონლის მიწოდებით 266 სოფელს 8073 კომლი ანუ 39.146 სული მცხოვრებით. მაზრაში კოოპერატიული მშენებლობის საკითხების მოსაგვარებლათ და ხელმძღვანელობის გასაწევათ შესდგა კომისია პარტკომის, ცეკავშირის და ცეკავშირის დუშეთის განყოფილების წარმომადგენლებისაგან. სანამ საკითხი კოოპერატივის გახსნისა გადატანილ იქნებოდა რაიონის მცხოვრებთა საერთო კრებაზე, წინასწარ სათანადო მოხსენება იკითხებოდა რაიონის აქტიურ ამხანაგების სხდომებზე. ამ კრებების ჩატარებისა და კოოპერატივებისათვის ხელმძღვანელ ორგანოების არჩევის შემდეგ ხდებოდა ცეკავშირის სავაჭრო პუნქტების გადაცემა ამ კოოპერატივებზე. გადაცემულ იქნა კოოპერატივებზე სულ ოთხი პუნქტი 14.645 მან. 58 კაპ. ღირებულ საქონლით და ინვენტარით. ამრიგათ ამჟამად დუშეთის მაზრაში წინეთ დაარსებულ კოოპერატივებთან ერთად არსებობს: დუშეთის, ანანურის, მცხეთის და თიანეთის კოოპერატივები. აქედან ზემოაღწერილ წესით ახლად მოწყობილია სამი უკანასკნელი, ხოლო დუშეთის კოოპერატივი მიმდინარე წლის მარტიდან არსებობს.

სასკოლო კოოპერატივი

29 აგვისტოს განათლების მუშაკთა სახლში შესდგა დამფუძნებელი კრება თბილისის სკოლების მასწავლებელთა და მოწაფეთა მშობლების, წიგნის კოოპერატივის დასაარსებლად, მოწაფეთათვის დაკლებულ ფასებში წიგნების მიწოდების მიზნით. კოოპერატივი „სკოლა და წიგნი“ აგრეთვე თავის წევრებს მიაწოდებს დაკლებულ ფასებში ლიტერატურულ წიგნებს.

კრებამ დაამტკიცა წესდება, რომლის მიხედვით კოოპერატივში შესატანი ფული განსაზღვრულია [illegible] რედვე დამტკიცებული იქნა გეგმა, რომლის მიხედვით კოოპერატივს უნდა ეყოლოს 15.000 წევრი; სარევიზიო კომისიის ერთი წევრი კოოპერატივში იმუშავებს მუდმივათ.

გამგეობაში არჩეული იქნა: ამხ. ამხ. ავრამოვი, ალდანოვი, მესხიშვილი, პლესინ-მიხაილოვი და მილდი. ხოლო სარევიზიო კომისიაში: ჩიტაშვილი, წერეთელი და კარაპეტიანი.

კრებამ დაადგინა კოოპერატივის მუშაობის გასაცხოველებლათ კოოპერატივის წევრებათ მიღებულნი იქნენ არა საჭ[illegible]

პროფკავშირებში

მუშათა ექსკურსიები

ზაფხულის განმავლობაში კავშირების საკლუბო მუშაობა მინელდა. წრეებში თითქმის ყოველგვარი მეცადინეობა შეწყდა. შემცირდა ლექციების კითხვის შემთხვევებიც.

კავშირების წინაშე დაისვა საკითხი სხვა სახის კულტმუშაობის წარმოების შესახებ. ცხადია ეს მუშაობა საზაფხულო სეზონთან უნდა ყოფილიყო შეფარდებული. ასეთი სახის მუშაობას წარმოადგენს მუშათა ექსკურსიების მოწყობა სხვადასხვა ადგილებში.

ექსკურსია კულტგანმანათლებელ მიზნების მისაღწევად საუკეთესო საშუალებათ უნდა ჩაითვალოს. მრავალი წიგნი და ხანგრძლივი მეცადინეობა ვერ აღწევს ხშირად ისეთ შედეგებს, როგორსაც ექსკურსია, უშუალო მიახლოვება საკითხთან რომელიც მუშას აინტერესებს, მის გარშემო კოლექტიური მსჯელობა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა ბევრად უფრო აადვილებს ამა თუ იმ მოვლენის გადაჭრას, შეფასებას.

ექსკურსია მრავალი სახის შეიძლება იყოს: შეიძლება მას ექსკურსანტების ფიზიკური დასვენება, გართობა ჰქონდეს დასახული. მაგრამ შესაძლებელია მას ამ პირველ მიზანთან ერთად ფართო კულტურულ განმანათლებელი მიზანიც ჰქონდეს დასახული.

კავშირების მთელი ყურადღება იქეთკენ იყო მიმართული, რომ მოეწყოთ კულტურულ განმანათლებელ ხასიათის ექსკურსიები, რომ მუშებს დასვენებასთან ერთად საშუალება მისცემოდათ გასცნობოდენ ჩვენ კულტურულ ნაშთებს, საბჭოთა აღმშენებლობის სხვადასხვა ფორმებს, ჩვენ წარმოებას და სხვადასხვა ქარხნებსა და სახელოსნოებს.

ამ მიზნისათვის კულტგანყოფილება აწვდიდა კავშირებს შესაფერად მომზადებულ ხელმძღვანელებს, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ დაკისრებულ ექსკურსიის ჩატარება.

სულ ზაფხულის განმავლობაში კავშირების მიერ ჩატარებულ იქნა 68 ექსკურსია. ხსენებულ ექსკურსიებში დაახლოებით 2000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. უმთავრესად ექსკურსიები ეწყობოდა შემდეგ ადგილებში: ბათომში, ბორჯომში, გორში, ტყიბულში, ზემო ავჭალაში, ბაქოში, ალავერდში და ადგილობრივ საკულტურო და სხვა და სხვა საწარმოო დაწესებულებებში.

[illegible] ჩანს, რომ ყველაზე მეტი ექსკურსია მოწყობილია ზემო ავჭალის ჰიდროელექტრონულ სადგურზე. ეს ძლიერ დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. თუნდაც ეს ფაქტი ნათელს ჰყოფს, თუ როგორი ინტერესით და მზრუნველობით ადევნებენ თვალყურს ჩვენი მუშები საბჭოთა აღმშენებლობის ერთ-ერთ უდიდეს ნიმუშს. ზემო ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის დათვალიერების სურვილი რაღაც სტიქიური რამ არის ჩვენ მუშებში. თქმა არ უნდა ასეთ ექსკურსიას გაცილებით მეტი შეუძლია მისცეს მუშებს, ვიდრე ზეპირ პროპაგანდას საბჭოთა ხელისუფლების შესახებ. მუშები ადგილობრივად, თავის თვალით რწმუნდებოდენ, თუ რა უზარმაზარი და ღირსშესანიშნავი მუშაობა არის გაჩაღებული ზემო ავჭალაში. მარტო ხსენებულ ადგილზე სულ ზაფხულის განმავლობაში დაახლოვებით 15-ჯერ გაიმართა ექსკურსია. ექსკურსანტი მუშები ყოველთვის აღტაცებულნი და ძალზედ ნასიამოვნები ბრუნდებოდენ ხსენებულ ექსკურსიებიდან. აღსანიშნავია აგრეთვე ალავერდში და ბათომში გამართული ექსკურსიები.

როგორც აღვნიშნეთ საერთო ხელმძღვანელობას ექსკურსიების მოწყობაში კავშირებს უწევდა კულტგანყოფილება; უკანასკნელი აწვდიდა მათ შესაფერ ხელმძღვანელებს და შეღავათიან სამგზავრო ლიტერებს. კულტგანყოფილება დახმარებას უწევდა აგრეთვე პროვინციიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს: ხელმძღვანელებისა და გასაჩერებელ ბინების მიწოდებით. გარდა ამისა კულტგანყოფილება ასეთივე დახმარებას უწევდა რუსეთიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს, უმთავრესად მუშფაკელებს.

არც პროვინციას სტოვებდა იგი უყურადღებოდ და შეძლების ფარგლებში უგზავნიდა მათ შეღავათიან სამგზავრო ლიტერებს ექსკურსიების მოსაწყობად.

აღსანიშნავია აგრეთვე ექსკურსია, რომელიც მოაწყო კულტგანყოფილებამ მოსკოვში. აღნიშნული ექსკურსია დაახლოვებით 3 კვირა გაგრძელდა. მიუხედავათ მრავალი გაუთვალისწინებელი დაბრკოლებებისა და ნაკლისა, ექსკურსიამ მაინც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა მონაწილეებზე.

ვიდრე სეზონი დასრულდებოდეს, კულტგანყოფილებას განზრახული აქვს კიდევ რამოდენიმე ექსკურსიის მოწყობა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ კავშირებმა წელს განსაკუთრებული სიცხოველე გამოიჩინეს ექსკურსიების მოწყობაში. დიდძალი მუშის სურვილი, წასულიყო სადმე ექსკურსიაში, დაუკმაყოფილებელი დარჩა შეღავათიან სამგზავრო ლიტერების სიმცირის გამო. მომავალში ექსკურსია როგორც კულტურულ განმანათლებელ მუშაობის ერთ ერთი საუკეთესო ფორმა უფრო მტკიცე ნიადაგზე უნდა მოეწყოს და შეძლება უნდა მიეცეთ კავშირებს ფართოთ დააკმაყოფილონ მუშების წყურვილი ამ მხრივ.

X.

ა. კ. პროფსაბჭოში

ა | კავკასიის და რესპუბლიკების პროფსაბჭოების ხარჯთაღრიცხვები.

ა | კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს ხარჯთაღრიცხვა 37 ათასი მანეთის რაოდენობით და საქართველოს პროფსაბჭოს ხარჯთაღრიცხვა 34 ათასი მანეთის რაოდენობით. აზერბეიჯანის და სომხეთის პროფს[illegible]დება მიეცათ დააჩქარონ ხარჯთაღრიცხვის ა | კ. პროფსაბჭოში წარდგენა.

დასასვენებელ სახლების ხარჯთაღრიცხვა.

ამიერ-კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა შუამდგომლობა აღძრა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ გადადებული იქნეს თანხა 800 საწოლის მოსაწყობად დასასვენებელ სახლებში მთელი ამიერ-კავკასიის მუშა-მოსამსახურეთა საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

რესპუბლიკების პროფსაბჭოებს წინადადება მიეცათ გამონახონ თანხები დასასვენებელ სახლების შესაკეთებლად.

საბინაო მშენებლობის ხელის შემწყობი კომიტეტის მოწყობა.

ა | კავ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროთ სცნო ა | კავ. შრომის სახალხო კომისარიატთან მოეწყოს საბინაო მშენებლობის ხელის შესაწყობად განსაკუთრებული კომიტეტი.

მასალები ა | კავკასიის რკინის გზების და ფოსტა-ტელეგრაფის სახ. კომისარიატის გაეროვნების შესახებ.

ა | კავ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მიმართოს წინადადებით რესპუბლიკების პროფსაბჭოებს რკინისგზის პროფსაბჭოებთან ერთად შეჰკრიბონ მასალები ა | კავკასიის რკინისგზების და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის გაეროვნების (ეროვნული ენების შემოღების) შესახებ და წარადგინონ ეს მასალები ა | კ. პროფსაბჭოს პლენუმისათვის.

პროფესიონალური ჟურნალები ეროვნულ ენაზე.

ა | კავკასიის პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა სომხეთის პროფკავშირთა საბჭოს შეუდგეს სომხურ ენაზე პოპულიარული პროფესიონალური ჟურნალის გამოცემას, ხოლო აზერბეიჯანის პროფსაბჭოების პრეზიდიუმმა დაავალა გარდაქმნას არსებული პროფესიონალური ჟურნალი თურქულ ენაზე უფრო მასიურ ჟურნალად.

წითელ ჯარში

მესანგრეთა ასეულის კულტურული მუშაობა სოფლად

ა | წ. 16 აგვისტოს ქ. მ. დ. ცალკე მესანგრე ასეულების—დრამ-წრის და სოფ. ქვიშხეთის დრამ-წრის შეერთებულ ძალით გადახდილ იქნა ს. ქვიშხეთის კლუბის ერთი წლის თავის არსებობა.

დადგმული იქნა კომედია „დარისპანის გასაჭირი“.

კლუბი მორთული იყო საუცხოვოდ ლენინის სურათით და სხვა.

წარმოდგენის დაწყებამდე იხსნება ფარდა, სადაც ჩამწკრივებულნი გამოჩნდნენ წრის შემადგენლობა და ხაშურის რაიკომის წარმომადგენლები.

კლუბს ხსნის ს. ქვიშხეთის საბჭოს თავმჯდომარე.

პირველად მისასალმებელ სიტყვას ამბობს ხაშურის რაიკომის რწმუნებული ამხ. კიკაჩეიშვილი, [illegible] ბის მნიშვნელობა, თუ რას წარმოადგენს ის მშრომელ ხალხისთვის და რა მიზანი აქვს დასახული კულტურული მხრივ.

შემდეგ გამოდის და ესალმება საზოგადოებას—ჩვენს ასეულში მოლენილ ცენტრ. პარტ. სკოლის მსმენელი ამხ. ვ. გოგისვანიძე წითელი ჯარის სახელით; მან მოუწოდა გლეხობას, რომ როგორც ამ წელს, ისე მომავალში ხელი-ხელ ჩაკიდებული იმუშაოს ბანაკად მყოფნი ჯარის

შემდეგ გამოდიან სხვა პარტიული და უპარტიო ამხანაგები.

ნაწილებთან.

მისალმების შემდეგ უკრავს მუსიკა „ინტერნაციონალს“, რის შემდეგ გაიმართა წარმოდგენა, რამაც გლეხობა დააკმაყოფილა.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა აზიურ[illegible]

ქართულ გაერთ. მეთაურთა სკოლა

21 აგვისტოს ქართ. გაერთ. მეთაურთა სკოლის მე-3-მე ასეულში შესდგა მორიგი კრება. კრებას თავმჯდომარეობდა ამხ. სამადბეგოვი, მდივნობდა ამხ. ჩხაიძე.

დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები: 1. ლენინის კუთხის წრის მოხსენება და ახალი კუთხის არჩევა, 2. სარედაქციო კოლეგიის მუშაობა და ახალის არჩევა. 3. ძველი კორესპონდენტების მუშაობა და ახალის არჩევა.

პირველ საკითხზე მოხსენება გააკეთა პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. თელიამ. ამხანაგი ფართეთ შეეხო პრეზიდიუმის მუშაობას, თუ რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა მათ. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზე ეღობებოდათ წინ სხვა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზები. მაგრამ მიუხედავათ ამისა ენერგიული შრომით მაინც გაკეთდა რაღაც. ლენინის კუთხე საუცხოვოთ იყო მორთული პლაკატებით და სხვადასხვა სურათებით, იყო ყოველგვარი ჟურნალ-გაზეთები და მრავალი პოლიტიკური და მეცნიერული წიგნები, რომლითაც კურსანტები ხელმძღვანელობდნენ.

ანგარიშიდან მომხსენებელმა გააცნო კურსანტებს ის შემოწირული თანხა, რაც შემოტანილი ჰქონდათ მეთაურებს და კურსანტებს ლენინის კუთხის გასაუმჯობესებლად. მოხსენების გათავების შემდეგ მას მისცეს შეკითხვები.

შემდეგ გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც მოწონებულია წრის მუშაობა. შემდეგ აირჩიეს ლენინის კუთხის ახალი პრეზიდიუმი 5 კაცისაგან: მაღლაშვილი, უბერი, ბასილია, ნამგალაძე, ჩიტაძე.

მეორე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა რედაქციის კოლეგის მდივანმა ამხ. დანელიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ მიუხედავათ თავისუფალ დროის უქონლობისა, კოლეგიას უხდებოდა ღამით მუშაობა, დავალებას მაინც პირნათლად ასრულებდა, და უშვებდნენ ხშირად კედლის გაზეთ „ტრიბუნას“. მოხსენების შემდეგ კურსანტებმა გამოიტანეს კოლეგიის მუშაობის მომწონებელი რეზოლიუცია. შემდეგ აირჩიეს ახალი სარედაქციო კოლეგია: უბერი, ბასილია ნამგალაძე.

მესამე საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ავაქოვმა და აღნიშნა თავის თავის მუშაობის შესახებ, რომ მან ვერ შესძლო თავიანთი დავალების ასრულება, რადგან მას ჰქონდა სხვა და სხვა დავალებანი. ასეთი საპატიო მიზეზების გამო ასეულის კურსანტებმა მისი მუშაობა სცნეს დამაკმაყოფილებლად.

შემდეგ კრებამ აირჩია ახალი კორესპონდენტები: ჩიტაძე და ლ. პელიძე.

ლ. პელიძე.

მე-3-ე ლეგიონი

დიდი ხანი არ არის მას შემდეგ რაც მე-3-ე ლეგიონი დაბინავდა ქ. №-ში, დაბინავების პირველ დღიდანვე არჩეულ იქნა ბიურო კოლექტივი, დაარსდა კომუჯრედები, დანაწილებულ და მიმაგრებულ იქნა კომუჯრედებზე ამხანაგები, ლეგიონს აქვს აშენებული თავისი, ამხ. თენგიზ ჟღენტის სახელობის ცენტრალური კლუბი, რომელიც საუცხოვოდ არის მორთულ-გალამაზებული. ამ დიად შესანიშნავ კლუბს საძირკველი ჩაუყარა და ააშენა ამავე ლეგიონის სამხკომის თანაშემწე ამხ. ალ. ხერხეულიძემ, მან არ დაზოგა თავისი ენერგია.

არსებობს განსაკუთრებული დრამატიული დასი, რომლის ხელმძღვანელობა დაკისრებული აქვს ამხ. ჯაყელს. შესდგა შემჯიბრებელი დრამატიული წრე, რომლის ინიციატორები არიან ამხ. ამხ. გაბისონია, რეხვიაშვილი და ცინცაძე. ხელმძღვანელები უკვე შეუდგნენ აქტიურ მუშაობას. წარმოდგენები იმართება კვირაში ორჯერ, ფასიანი და უფასო; უფასო წითელარმიელებისათვის და ფასიანი კი — მოქალაქეებისათვის. ადგილ. კლუბის დარბაზში სულ ხშირად იმართება უფ-პოლიტ და წითელარმიელთა გაერთიანებული კრებები, სადაც კეთდება მოხსენებები სხვადასხვა თემებზე.

სამხედრო ორკესტრის მხრივ ჩვენი ლეგიონი განიცდის ნაკლულევანებას, რადგანაც მას არ ჰყავს სათანადოდ მომზადებული ზოგიერთი დამკვრელები და მასთან აკლიათ ზოგიერთი ინსტრუმენტებიც. უფშემადგენლობა კარგად გვეპყრობა, სამსახურს ასრულებენ ღირსშესანიშნავად.

ლეგიონის სამხკომის ამხ. კოჩიძის მუშაობა დაუფასებელია. მან შექმნა მტკიცე კავშირი მაზრის ყველა დაწესებულებებთან.

პარტკორი გრ. კოკაია.

რკინის გზებზე

სამუშაო დღის გაგრძელების აკრძალვა

ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე გაცემული ბრძანებით აკრძალულია სამუშაო დღის გადიდება. ამ ბრძანების თანახმად კატეგორიულ წინადადება არის გაცემული არ გადააცილონ სამუშაო დღე 8 საათს ფიზიკური შრომის მუშებისათვის. მუშაობით დატვირთვა ნება დართულია 8 საათის ფარგლებში სათანადო განკარგულებათა მიხედვით.

ახალი ხიდი

ა.-კ. რკინის გზათა სამმართველოში წარდგენილია მოხსენება ახალი ხიდის გაკეთების შესახებ სად. შაგალში. ამასთანავე დადგენილია რკინის გზის მარცხთან მებრძოლ ტეხნიკური კომისიის, მიერ რომ მუშაობა დამთავრებული უნდა იქნეს ამ საამშენებლო სეზონში. ხიდის გაკეთება დაჯდება ვარაუდით 22 ათასი მანეთი.

ვაგონების დატვირთვის შესახებ.

ვინაიდან მეტად გახშირებულია საბარგო ვაგონების უხეირო დატვირთვა, რაც ხშირად იწვევს ვაგონების იატაკების მტვრევას, ა | კ. რკინისგზებზე გამოცემულია ბრძანება ცენტრის განკარგულებათა თანახმად, ტვირთის წესრიგის განაწილების შესახებ ვაგონების დატვირთვის დროს.

დებულება დაჯილდოების შესახებ.

ბუქსის წვით გამოწვეულ ვაგონების ერთი მეორისგან დაშორების (ოტცეპკა) შემთხვევათა შესამცირებლად, ა | კ. რკინის გზებზე შემოღებულია დროებითი დებულება (3 თვის) იმ პირთა დაჯილდოების შესახებ, ვინც მონაწილეობას ღებულობს ვაგონების დათვალიერებისა და მათ გაზეთვაში ბუქსების წვის თავიდან ასაცილებლად.

მეცნიერება-ტეხნიკა

წყლის გაყვანა 400 ვერსზე.

წმინდა, ჯანსაღი წყლის უქონლობა მრავალი დიდი და პატარა ქალაქებისათვის საშინელ უბედურებას წარმოადგენს.

ჯერ კიდევ შორეულ წარსულში იყო შემთხვევები, როცა დიდი სავაჭრო ქალაქები სრულიად ნადგურდებოდენ, ისპობოდენ. საბჭოთა კავშირისათვის ასეთ მაგალითს წარმოადგენს თურქესტანი. ადგილები, რომელიც ოდესღაც ყვაოდა, წალკოტს წარმოადგენდა, უდაბნოებათ იქცნენ.

ასეთივე უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება კალიფორნია (ჩრდილოეთ-ამერიკა). მაგრამ აქ ტეხნიკა ეხმარება ხალხს ბუნების ძალების დამორჩილებაში. ამერიკელები არ ერიდებიან არავითარ შრომას და ხარჯებს იმისათვის, რომ თავის ქალაქებს მიაწოდონ ჯანსაღი, წმინდა სასმელი წყალი.



ქ. ლოს-ანჟელოსმა (კალიფორნია) მოაწყო უზარმაზარი წყალსადენი, [illegible]

იყო, რადგან ქ. ლოს-ანჟელოსი მდებარეობს ისეთ ადგილას, სადაც ერთი წვეთი წყალი არ მოიძებნება. საჭირო დარჩა ბუნების ყველა ძალების დამორჩილება იმისათვის, რომ აეშენებიათ ქალაქი იქ, სადაც ბუნება ამას ყველაზე ნაკლებ უწყობს ხელს.

ასეთი უზარმაზარი წყალსადენის გაყვანა, რომელსაც უხდება მთელ რიგ მაღლობების დაძლევა, ფრიად საინტერესოა. ზოგიერთი მილები გაკეთებულია რკინისა და ბეტონისაგან, ნაწილი კი ფოლადისაგან, როგორც ეს არის ნაჩვენები ჩვენს სურათზე. წყალის მილების დიამეტრი უდრის 3 ნახ.—4 ნახ. მეტრს, ისე, რომ დიდ ავტომობილს თავისუფლად შეუძლია გაიაროს შიგ. ადვილი გასაგებია, თუ როგორის სიძლიერით აწვება წყალი ფოლადის მილებს, რომლებიც გაყვანილია დაბლობში.

ტელეფონების სტატისტიკა.

ტელეფონების რაოდენობის მხრივ პირველი ადგილი რასაკვირველია, უჭირავს ამერიკის ქალაქებს.

ყველაზე მეტი რაოდენობა ტელეფონებისა არის ნიუ-იორკში (845.890; შემდეგ მოდის ჩიკაგო (554.114) და მხოლოდ მესამე ადგილი უჭირავს ლონდონს (311.359). დიდ ციფრს იძლევა აგრეთვე ქალ. ბოსტონი (272.244) და ფილადელფია (235.05[illegible]).

ევროპის ქალაქები ტელეფონების რაოდენობით ბევრად ჩამორჩებიან ამერიკის ქალაქებს. ბერლინში არის 154.800 ტელეფონი, პარიზში—95.0[illegible]3, კოპენჰაგენში —90.625 ჰამბურგში—77.322.

უნდა აღინიშნოს, რომ ამერიკამ გა[illegible] ევროპას ტელეფონების რაოდ[illegible] მოსახლეობის რიცხვთან შედარებ[illegible] ვაც. ასე მაგალითად [illegible] ასზე კაცზე არის 28 [illegible] —20, [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

როგორ იყენებს ახალგაზრდობა თავისუფალ დროს?

მუშურ-გლეხური ხელისუფლება უმთავრეს ყურადღებას აქცევს ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარებას და ამ მიზნისთვის დიდი შრომა-ენერგიაც იხარჯება. ეს, რასაკვირველია, ასეც უნდა იყვეს, რადგან მომავალი ბედნიერება მშრომელი ხალხისა ახალგაზრდობაზეა დამოკიდებული. რამდენადაც განვითარებული იქნება ჩვენი მომავალი ახალგაზრდობა, იმდენად ადვილად გაიკაფავს პროლეტარიატი სოციალისტურ წყობილებისკენ მიმავალ გზას.

თუ დღემდის მუშა-ხელოსნის შვილებს არ შეეძლოთ განათლების მიღება სიღარიბის მიზეზით, დღეს ეს არ ითქმის და ყოველ მუშა-ხელოსნის შვილს შეუძლიან უფასოდ მიიღოს ცოდნა-განვითარება, თუ კი ამისთვის მეცადინეობას არ დაზოგავს ის, და გამოიყენებს იმ უპირატესობას, რასაც მას ანიჭებს დღევანდელი ხელისუფლება.

დღეს მუშა-ხელოსნის შვილს თავისუფლად შეუძლიან ისწავლოს კიდეც და თავიც ირჩინოს თავის შრომით. შრომის კანონები მას უფლებას აძლევს ადრე განთავისუფლდეს სამუშაოდან, სადაც კი იქნება და გადარჩენილი თავისუფალი დრო სწავლა-ცოდნას მოახმაროს.

ახალგაზრდობა უნდა აფასებდეს ამ [illegible] და სცდილობდეს ყოველნაირის საშუალებით, რომ უქმად არ დაჰკარგოს თავისუფალი დრო და ის მართლა სწავლა-განვითარებას მოანდომოს. მაგრამ სამწუხაროდ, მომეტებული ნაწილი ჩვენი ახალგაზრდობისა ვერ აფასებს ამას და თავისუფალ დროს შეუფერებლად იყენებს.

ამაში ადვილად დარწმუნდება მკითხველი, თუ თვალს გაადევნებს თბილისის ქუჩებს, ბაღებს, კლუბებს და სხვა მრავალ გასართობ ადგილებს, სადაც მომეტებულ ნაწილად ახალგაზრდებს, მცირე წლოვანებს მოუყრიათ თავი და შუა ღამემდის ფუქსავატ ლიყლიყში, ქალებთან არშიყობაში ატარებენ დროს!..

რასაკვირველია თავის დროზე გავლა-სეირნობა არავისთვის დასაშლელი არ არის, მაგრამ გათენებამდის და შუაღამემდის მცირე წლოვან ახალგაზდების აქა-იქ ხეტიალი პირდაპირ დაუშვებელია.

ასეთი საქციელი არ ეპატიებათ განსაკუთრებით მუშა-ხელოსნის შვილებს და იმ ახალგაზრდებს, რომელნიც ქარხანა-სახელოსნოებში არიან შეგირდად, სარგებლობენ ადრე განთავისუფლებით მხოლოდ იმისთვის, რომ ისწავლონ და შეინარჩუნონ ჯანმრთელობა და ისინი კი ამ თავისუფალ დროს უქმად ხეტიალს ანდომებენ.

ყოველივე ამას კარგად უნდა ჩაუკვირდეს თვითეული ახალგაზრდა, ვინც კი ასეთ მრუდე გზას ადგია და შეეცადოს თავის ნაკლის გამოსწორებას.

მშრომელი ხალხის მომავალი ახალგაზდობაზეა დამოკიდებული და ვინც ამ იმედს არ გაამართლებს სირცხვილი ასეთ ახალგაზდებს!

მუშა დ—ელი.

მედსანშრომის კავშირის საყურადღებოდ

აფთიაქების გამოყოფამ გამოიწვია მუშა-მოსამსახურეების შემცირება, ამის გამო ბევრი მუშა-მოსამსახურეები დარჩნენ ქუჩაში. თუმცა მედსანშრომის კავშირის მიერ არის ენერგიული ზომები მიღებული ამის შესახებ, მაგრამ ბევრი მუშა-მოსამსახურენი დღესაც გამოურკვეველ მდგომარეობაში არიან. ყველა ჩვენთაგანს ვეგონა, რომ შემცირება, ან გადაჯგუფება სახელმედ. საჭაჭროსი („გოსმედტორგის“) აფთიაქებიდან ქალაქის აფთიაქებში მოხდებოდა სამართლიანად, მაგრამ მოვსტყუვდით.

აი ამის მაგალითი: პირველ საბჭოთა აფთიაქში შემცირება მოხდა შემდეგნაირად: შემცირება მიენდო ადგილობრივ საკონფლიქტო-შემფასებელ კომისიას, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, კომისიაში იყვნენ შესული ისეთი პირნი, რომელთაც პროტექცია პროფესიად აქვთ გადაქცეული. ხელმძღვანელობდა ამ საქმეს ყოფილი ძველი მენშევიკი და არა საიმედო პირი, პეტრე კანდელაკი. ეს პიროვნება კავშირის პასუხისმგებელ მომუშავედ ითვლებოდა; მაგრამ როდესაც შეამჩნია კავშირმა მისი ბნელი მუშაობა, ის დაუყოვნებლივ იქნა მოხსნილი მუშაობიდან. აი ასეთ პიროვნებას ჩაუვარდა ხელში მუშა-მოსამსახურეთა ბედიღბალი. ეს არის თბილისის ფარმაცევტი ცნობილი **პეტრე კანდელაკი.**

მოხსნილ იქნა პირველ საბჭოთა აფთიაქიდან ხუთი თანამშრომელი, რომლებსაც ამავე აფთიაქში გადაუტანიათ დიდი ხნობით უპურობა, უფულობა და სხვა. ესენი არიან ძველი მოსამსახურენი, რომლებიც მსახურობენ 3—5 წელიწადი; მათ ადგილზე დატოვებულ იქნენ აფთიაქში ახლები. მათ უნდოდათ დაეტოვებიათ ისინი, ვინც მათ სურდათ, მოხსნილ იქნა ავადმყოფი ქალი, ძველი თანამშრომელი, ამხ. ნიკოლეიშვილი. ეს ქალი კავშირის მიერ იქნა აღდგენილი თავისივე ადგილზე. სხვებს კი ჯერაც ვერ გაურკვევიათ გზა. საჭიროა, დაუყოვნებლივ მიექცეს ყურადღება ამ დაუშვებელ მოვლენას და მიღებულ იქნას სათანადო ზომები.

აუცილებლად უნდა იქნეს სამუშაოდან მოხსნილი მოქ. პეტრე კანდელაკი.

აფთიაქის თანამშრომელი.

ქალაქის ალმასკომის საყურადღებოდ

ამ ბოლო დროს გახშირდა ელექტრონის ენერგიის გაყვანა ქუჩებში და სახლებშიც. ბოძებზე გაიჭიმა ბევრი მავთულები. ბოძებს ძალა დაადგა და ველარ იტანს. ბოძებს კი ყურადღებას არ აქცევენ. ნუ თუ არ არიან კონტროლიორები, რომ დაათვალიერონ ბოძები, დამპლები აქვს ძირები თუ არა. ბოძები წაქცეულიცაა ქუჩებში. 27 აგვისტოს, საღ. 7 საათზე შემახინის ქ. (მე-7 უბანში) ბოძს ძირი დიდიხანია მომპალი ჰქონდა და არავინ ყურადღებას არ აქცევდა. უცბად ბოძმა ნელ-ნელა წაქცევა დაიწყო. ამ დროს მოდიოდა ერთი ბერი კაცი ჯოხით, წაიქცეოდა, მაგრამ მავთულებმა დაიჭირა და კაცი სიკვდილს გადარჩა.

ამას უნდა მიაქციონ სათანადო ყურადღება, კონტროლიორებმა უნდა დაათვალიერონ ყველგან ბოძები და რომლებსაც გამოცვლა სჭირდება, უნდა გამოსცვალონ.

მუშკორი ი. ჯ.

ჩვენ ინვალიდებში

ომის ინვალიდთა არტელების შესახებ ამ ბოლო ხანებში ბევრი იწერება გაზეთებში. ეს არ არის ცუდი ბევრი რამ გამოირკვა ინვალიდთა ცხოვრებიდან ამ წერილებით, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები.

როგორც ვიცით, ინვალიდთა კოოპერატიული შენაერთი (ცენტრი) ჩაახრჩო კერძოდ თავის სავაჭრო მაღაზიებმა და სრულებით არ ჰქონდა მას დრო მიეხედა ინვალიდთა არტელებისათვის.

დღეს ახალი აპარატია შესაქმნელი ამ ნაკლის გამოსასწორებლად. რა ფორმებში უნდა იქნეს აგებული ეს ახალი აპარატი?

ცხადია, არა ძველში;

არტელებს უნდა ჰყავდეს სექცია, უკანასკნელმა უნდა იზრუნოს ცალცალკე არტელების გახსნისათვის, ჩააბას ინვალიდები მუშაობაში და რაც მთავარია, სექციამ უნდა იზრუნოს მათი მტკიცე ნიადაგზე დაყენებისათვის. ამ სექციას ექნება მჭიდრო კავშირი „ცეკავშირთან“,

უკანასკნელმა უნდა მისცეს ინვალიდთა არტელებს თავისი საქონელი შეღავათიან ფასებში. „ცეკავშირის“ მიცემული საქონელი არ უნდა იყიდებოდეს მუშკოპზე ძვირათ.

„ცეკავშირმა“ განსაზღვრული პროცენტები უნდა მისცეს თავის საქონელზე ინვალიდებს, რათა ამ უკანასკნელებმა შესძლონ თავიანთი თავის უზრუნველყოფა და არტელების არსებობა.

ცეკავშირი უნდა სცდილობდეს საწარმოო არტელების გახსნაზეც. აქ კი საჭირო იქნება ნედლი მასალის მიწოდება.

ცხადია, ცეკავშირს უფრო იაფად დაუჯდება ინვალიდთა არტელების გახსნა და მათი შიგ მუშაობაში ჩაბმა, ვიდრე მაღაზიების გახსნა და შტატის შექმნა.

ამასთან არავინ უნდა ჩასთვალოს ზედმეტად ინვალიდთა საზოგადოების დახმარება, რითაც კი შეუძლიათ. ეს ყველას ვალია. ნურავის გაუტყდება გული, რომ მრავალი ბოროტმოქმედება მოხდა ამ წრეში; სასტიკი ზომებია მიღებული ამ საზოგადოების თავის სიმაღლეზე დაყენებისათვის. ამას შევსძლებთ ჩვენ.

თუ ამ შემთხვევაში დაუზოგავი ვიქნებით ბოროტი სულების წინააღმდეგ, ბოროტებას შევებრძოლებით ყოველივე ღონისძიებით და დამნაშავებს არ დავფარავთ.

ინჟ. ჭემანი.

ლენინის კუთხის გახსნა

28 აგვისტოს 1-ლ გამასწორებელ სახლის ადგილკომმა საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის კულტგანყოფილების ხელმძღვანელობით გახსნა ლენინიზმის შესასწავლად „ლენინის კუთხე“. ამისათვის 1-ლ გამსახლის ადგილკომმა მოაწყო თანამშრომელთა საერთო კრება, რომელსაც დაესწრო აგრეთვე საბჭოთა მოსამსახურეების კავშირის წარმომადგენელი, ამხ. ღლონტი. „ლენინის კუთხის“ გახსნის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გააკეთა რუსულ ენაზე ამხ. ღლონტმა. მან ვრცლად გააცნო კრებას მისი დიადი მნიშვნელობა. შემდეგ მოკლე მოხსენება გააკეთა ქართულ ენაზე ადგილკომის პასუხისმგებელმა მდივანმა ამხ. ადამიამ. გამოითქვა სურვილი, რომ თანამშრომლები უკლებლივ იკრიბებოდნენ ლენინის კუთხეში კვირაში ორჯელ—ორშაბათობით და პარასკევობით, რაიც მოუტანს მათ დიდს სარგებლობას და დააყენებს მათ საერთო განვითარების გზაზე. დანარჩენი ორატორები გამოსთქვამდენ მადლობას 1-ლ გამსახლის პასუხისმგებელ მდივნის ადამიასადმი, მისი ერთგული მუშაობისათვის და უსურვებდენ მას მომავალშიაც მათთვის ხელმძღვანელობის გაწევას.

ინფ. დამსწრე—თავ—ანი.

მეტი ყურადღება მუშათა ხელოვნებას

28 აგვისტოს თვითმშრომელთა კლუბში დანიშნული იყო ავადმყოფ მუშა-მსახიობ სალაყაიას სასარგებლოდ ქართული წარმოდგენა თამაშობდნენ აკაკის მხიარულ კომედიას „კინტოს“-ს მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი, რომელთაც იმდენად დამახინჯებულად და უფერულად წარმოადგინეს ეს კომედია, რომ თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამათაგან არც ერთი სცენაზე გამოსაშვები არ არის: არც ერთს მათგანს არ ეტყობოდა არც როლის ცოდნა, არც მიხვრა-მოხვრა და სხვა. ამას უნდა დაუმატოთ აგრეთვე ისიც, რომ პიესაში გამოუშვეს რაღაც (ზედმეტი) ახალი ტიპი „სირაჯის“ რომელიც, ავტორს პიესაშიც კი არა აქვს შეტანილი. ამ ტიპის განმასახიერებული თავისი უალაგო დათვის ძუნძულით ხელს უშლიდა სხვებს საკმაოდ მთვრალიც იყო და ხშირად უცენზურო სიტყვებიც კი ისმოდა კულისებში არ ვიცით, რისთვის დასჭირდათ ასეთი პირის გამოშვება სცენაზე, რომელსაც ხელოვნებაზე არავითარი წარმოდგენაც კი არა აქვს.

თეატრის დარბაზი ნახევრად ცარიელი იყო, რაც უნდა მიეწეროს საზოგადოების გულგრილობას ავადმყოფ მუშა-მსახიობის მიმართ. იმედია, რომ რკინისგზის მუშები მაინც მიაქცევენ ჯეროვან ყურადღებას და პლეხანოვის სახელობის თეატრში მაინც მოუწყობენ მას ერთ წარმოდგენას, რადგანაც ამხ. სალაყაიას დიდი შრომა მიუძღვის იმ თეატრში თითქმის მის დაარსების დღიდანვე.

დასასრულ გაიმართა დივერტისმენტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს გაზეთ „კომუნისტი“-ს მუშკორებმა—ხეჩუაშვილმა, შინატეხელმა, სიო ხიდისთაველმა და რთინიშვილმა. პირველმა ორმა საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვეს საზოგადოებაზე, რისთვისაც ისინი რამდენიმეჯერ გამოიწვიეს და საერთო ტაშის კვრით დააჯილდოვეს.

სამწუხაროდ, წარმოდგენა გათავდა ღამის პირველ ნახევარ საათზე, რაც დასაშვები არ არის მშრომელი ხალხის მოსვენებისათვის.

ხალხი დაიშალა უკმაყოფილო უხეირო წარმოდგენის მიზეზით.

მუშკორი ალ. ბ—შვილი.

პროფ. გულენკოს ოინები

21 აგვისტოს გახსნილმა შპალების გასაჟღენთმა ქარხანამ გორში შეაჩერა მოქმედება. მიზეზი ის არის, რომ პროფესორმა გულენკომ მოხსნა მონომეტრები, ტერმომეტრები და სხვა ხელსაწყოები, და სხვებისათვის ქარხნის ტეხნიკის გაუცნობლად, —მიატოვა ქარხანა.

მასთან ერთად ქარხანა დასტოვა კიდევ მისმა თანაშემწემ ნოვიმ. გულენკომ ეს საქმე ჩაიდინა იმისთვის, რომ არ დაკმაყოფილდა ა.-კ. რკინისგზების სამმართველოსგან მიცემული ერთდროული სასყიდლით 5 ათასი მანეთის რაოდენობით. დამატებითი ხელფასი მისთვის უნდა გაეღო გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატს.

გულენკო მოითხოვს კიდევ რკინისგზელების სამმართველოსაგან 30 ათასს მანეთს.

პროფ. გულენკოს გამოგონება ახალი არ არის. შპალების გაჟღენთის ის საშუალება, რომელსაც ხმარობს პროფ. გულენკო, აღმოჩენილია ამერიკელი მსწავლულის ხასკისის მიერ —ბევრად უფრო ადრე; გულენკომ ეს აღმოჩენა მხოლოდ გამოიყენა.

აღსანიშნავია, რომ როცა გულენკომ და მისმა თანაშემწემ ინჟ. ნოვიმ ქარხანა დასტოვეს, მუშებმა თვითონ მოახდინეს შპალების გასაჟღენთად ცდა რომელმაც ჩინებული ნაყოფი გამოიღო.

მუშებმა გაუგზავნეს პროფ. გულენკოს თავისი ცდის ნიმუში იმის აღნიშვნით, რომ მათი ნიმუში არაფრით ჩამოუვარდება მის დამზადებულ შპალებს.

სამმართველომ წინადადება მისცა პროფ. გულენკოს დაბრუნებოდა სამუშაოს, მაგრამ პროფ. გულენკომ არ ინება. გორში გაემგზავრა მხოლოდ ინჟ. ნოვი, რომელიც განაახლებს ქარხნის მუშაობას ამ დღეებში.

საბჭოთა სასამართლო

მირონენკოს და მიხაილოვსკაიას საქმე

ვუშინწინ სახალხო სასამართლომ გაასამართლა ვინმე ვლადიმერ მირონენკო და მისი ცოლი გალინა მიხაილოვსკაია. მირონენკო მუშაა. ნივთიერი სალსარი, რომლითაც ის ირჩენდა თავის თავსა და ცოლს, იყო ხელფასი, ზომით ჩვეულებრივი, მაგრამ სრულიად უმნიშვნელო ცოლის მოთხოვნილებებთან შედარებით საქმე იმაშია, რომ ცოლს ფუფუნება უყვარდა. არა ხელსაყრელმა პროპორციამ ქმრის შემოსავლისა და ცოლის ხარჯებს შორის წარმოშვა ქალის თავში ერთი პროექტი, სახელდობრ—ქურდობა, რომლის აღმასრულებლათ დასახული იყო ქმარი. ცოლის წინადადებით, ქმარი მიდის სამხედრო ქუჩაზე ვასილ ბუ[illegible] ბინაზე და გამოაქვს იქიდან [illegible]ღასხვა ნივთები. მაგრამ ნაქურდალი მცირე გამოდგა. ქალმა იუკადრისა იაფი საჩუქრები და განქორწინების მუქარით მოითხოვა ქურდობის განმეორება. წავიდა ქმარი და კანდელაკის ბინას ყორღანოვის ქუჩაზე და გაქურდა იგი უფრო საფუძვლიანათ, ვიდრე პირველ შემთხვევაში. ნაქურდალის ნაწილი ცოლმა გაჰყიდა, მეორე ნაწილი კი (ტანისამოსი) შეღება, გადააკეთა და ჩაიცვა. ბოროტმოქმედება აღმოჩენილ იქნა და მირონენკო ცოლითურთ გადაცემულ იქნენ პასუხისგებაში. სასამართლოს ძიებისას გამოირკვა ზოგიერთი წვრილმანი, მაგალითად ის, რომ ქალი ერთ შემთხვევაში თვითონ წაძღოლია ქმარს საქურდლათ და ნიშან ქვეშ ამოღებულ მინის კარებთან ზურგს უმაგრებდა ქმარს: „რის გეშინიან, შენ კი არა მე, დედაკაცს, შემიძლია შევიდეო“. გამოირკვა ისიც, რომ ქმრის „მუშაობა“ ქალმა არ მიიჩნია საკმაოთ ნაყოფიერათ და მეორე ქურდობის შემდეგ გაეყარა მას.

ბრალდებულთ, ს. ს. კ-ის 15, 16 და 187 მუხლის თანახმად, მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა თითო წლით. ნივთები დაუბრუნდა დაზარალებულთ.

ქრონიკა

— **თბილისის მაზრის მოსახლეობის სიმჭიდროვე.** თბილისის აღმასკომის სტატისტიკური განყოფილების ცნობით თბილისის მაზრაში თვითეულ კვადრატიულ ვერსზე მოდის 73 მოსახლე.

— **ჩამოსულ ავადმყოფთათვის.** გოგილოს აბანოსთან აშენებენ საცხოვრებელ ბინებს შორი ადგილებიდან მოსულ ავადმყოფთა საჭიროებისათვის.

— **ჭლექის წინააღმდეგ.** თბილისის დამზღვევ სალაროს და რკ. გზის დამზღვევ განყოფილების მიერ ეწყობა ჭლექთან საბრძოლველად განსაკუთრებული საავადმყოფო.

— **წყალსადენის მასალები.** თბ. წყალსადენის დირექციამ გერმანიიდან ბროუნ ბოვერნის და კომპ. ქარხნისაგან მიიღო ცნობა, რომ თბილისის წყალსადენისათვის სხვადასხვა მასალები უკვე გამოგზავნილია.

— **წყალსადენი შავი ქვის მუშებს** ფოთის სადგურზე საზოგადოება „ჩემოს“ შავი-ქვის მუშებისათვის გაჰყავს წყალსადენი.

— **აღმასკომები ეხმარებიან წითელ არმიას.** ქუთაისის აღმასკომმა გადასწყვიტა მოაწყოს სათანადოთ ქუთაისის საკომენდანტოს შენობა, თანახმად ქართული დივიზიის შუამდგომლობისა.

— **აბანოების შეერთება.** გადაწყდა შეერთებული იქნას გოგილოს და ჩითახოვის აბანოები. შეერთებულ აბანოებისათვის მოეწყობა შესაფერი შენობა.

— **ლენინის სახელობის ინვალიდთა სახლი.** ახალქალაქში დაამთავრეს ლენინის სახელობის ინვალიდთა სახლი. სახლის საზეიმო გახსნა მოხდება ამ დღეებში.

— **წითელი გუთნის კვირეული** ახალქალაქის გლეხკომმა დაადგინა: დაჩქარებით ჩაატაროს წითელი გუთნის კვირეული მთელ მაზრაში.

— **გლეხკომები ინვალიდებს პენსიებს უნიშნავენ.** სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ცნობით ახალქალაქის სამაზრო გლეხკომმა ინვალიდებს დაუნიშნა პენსიები. პირველ ჯგუფის ინვალიდებს თვეში 3 მ. მეორე ჯგუფის 2 მ. და მესამე ჯგუფს—1 მან. და 50 კაპ.

პროვინციაში

სურების რაიონი (გურია)

სურების რაიონი შესდგება 3-მი თემისგან დიდი-ვანი, შვა სურები და ზემო სურები. ამ სამ თემში შედის 8 სოფელი, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 1.200 სცილდება. რაიონში არსებობს 3-მი კომუჯრედი, რომელიც აერთიანებს 60-მდე დაახლოებით კომუნარს. ამავე რაიონში არსებობს ახალგაზდათა კომკავშირის 3 კომუჯრედი. რაიონში არსებობს სხვადასხვა კულტურული დაწესებულებები: სკოლები, კოოპერატივები, სამკითხველოები, ფოსტა-ტელეგრაფი, საფერშლო პუნქტები, სახალხო სახლი და სხ. სურების მცხოვრებნი, როგორც ძველათ კულტურული ხალხი არ არის ჩამორჩენილი სხვა რაიონებზედ. ყოველივე კულტურულ საქმეს ფხიზლათ ეკიდებიან. ეს იმით აიხსნება, რომ ეკლესიები გადაკეთებულ იქნა სახალხო სახლებათ, რითაც მეტად კმაყოფილია გლეხკაცობა. მთელ რაიონში 4 კოოპერატივია. აგრეთვე არის გლეხკომი, რომელიც დიდ დახმარებას უწევს აქაურ გლეხ-კაცობას.

სურების რაიონი ძალიან მოწყვეტილია მაზრაზედ, მას ხელს უშლის უგზობა. გამომუშავებულ იყო გზების გაყვანის გეგმა, მაგრამ მუშაობა ჯერჯერობით შეჩერებულია. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ადგილობრივმა რაიაღმასკომმა და აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე გზის გაყვანის შესახებ.

ალექსანდრე რამიშვილი.

ეს ხიდი გააკეთეთ! (სენაკი)

ქალაქ სენაკის სამხრეთით ძონძირისულის შარა-გზაზე, პატარა მდინარე ვისუზე არის ხის ხიდი, რომელიც უკანასკნელ დროს სულ გაფუჭდა და იქ გასვლა არ შეუძლია არც ურმებს, არც ეტლებს, რის გამო შეწუხებულია მოსახლეობა. ამ ხიდზე უნდა გაიარონ პარასკევ-კვირაობით სენაკის ბაზრობაზე მიმავალ მოსახლეობამ თავისი გასასაღებელი საქონლით. უკვე აგვისტო გადის და ეს ხიდი, რაღაც მიზეზებით, შეუკეთებელი რჩება. საჭიროა სამაზრო აღმასკომმა მიაქციოს ამას ყურადღება და გაშენდეს ახალი ხიდი, მაგრამ არა ხის მასალისაგან, არამედ ცემენტისაგან—ქვის ხიდი. ეს აცილებს საზოგადოებას ყოველივე მოსალოდნელ დაბრკოლებებს.

ბ. უჩანეიშვილი.

ბახმაროს გზა

საჯევახო-ჩოხატაურის გზაზე, საყორნიაზე გაცხარებული მუშაობაა. დიდი ფული და შრომაა ამ გზის გასაკეთებლად საჭირო. ჩოხატაურიდან ბახმარომდე 40 ვერსით ჩალანდრებს მიჰყავთ მგზავრი 8—10 მან. ეს გზა ბახმაროზე მიმავალ ყველა გზებში საუკეთესოთ ითვლება.

საჭიროა ამ გზის საქმეს ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს მითუმეტეს, რომ ხალხი მზათაა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს საქმეს. ეს გზა უკვე აერთებს ბახმაროს კულტურულ ცენტრებთან ფოსტით, ტელეფონით და ტელეგრაფით.

ის ერთად-ერთი საიმედო გზატკეცილი იქნება, რომელსაც აქვს მთელი გურიისათვის და განსაკუთრებით აღმოსავლეთ გურიისათვის დიადი ეკონომიური, კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობა. სხვა უპირატესობათა შორის მას აქვს ნაბელღავის სამკურნალო მინერალური წყლები.

სოფლელი.

პროვინციის ქრონიკა

— **ელექტრო სადგური ტყიბულში.** წყალით მამოძრავებელი ელექტრონული სადგური, რომელიც შენდება მდინარე ტყიბულაში 25 ათასი ცხენის ძალისა იქნება და ელექტრონის სინათლეს მიაწვდის მთელ მხარეს.

— **ტრამვაის მუშებმა** თავის შეფობის ქვეშ მყოფ სოფ. თიონეთში გახსნეს სამკითხველო, ლენინის კუთხე, პატარა აფთიაქი, დაარსეს კომისია წყალსადენის გასაყვანად, აშენებენ თეატრს და სხ.

— **საავადმყოფოს შეკეთება.** სენაკის სამეურნეო განყოფილებამ შეადგინა ხარჯთ-აღრიცხვა 425 მ. რაოდენობით ადგილობრივ საავადმყოფოს შესაკეთებლათ.

— **საამშენებლო ამხანაგობა.** გორის აღმასკომმა გადასწყვიტა დაარსოს ბინების საამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა.

— **აგრო-დახმარების კვირეული.** გორის აღმასკომმა დაადგინა ჩაატაროს მაზრაში აგრო-დახმარების კვირეული, რისთვისაც გამოცხადებულია ყველა აგრონომების მობილიზაცია.

— **სასოფლო-სამეურნეო სკოლები.** გორის სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობით მიმართა მიწ.-მოქ კომისარიატს გორის მაზრაში ორი სასოფლო-სამეურნეო დაბალ საფეხურის სკოლის გახსნის შესახებ.

— **საავადმყოფო ციებ-ცხელების წინააღმდეგ.** აგვისტოს 1 რიცხვებში ზუგდიდის მაზრაში გაიხსნა სამალარიო ამბულატორია.

— **ინვალიდების დასახმარებლათ.** ქუთაისის მაზრაში ჩატარებული იქნა ინვალიდების დამხმარე კამპანია, რომლიდანაც შემოვიდა 1,300 მან.

— **თავდასხმა ტელეფონისტ ქალზე.** 5 აგვისტოს ჭიათურის ტელეფონის სადგურში თავს დაესხა შეიარაღებული ბოროტგამზრახველი მორიგე ტელეფონისტ ქალს, და წინადადება მისცა დაეწყვიტა ყველა ტელეფონის ქსელი. შეშინებული ქალის კივილზე, ბოროტგამზრახველი მიიმალა.

— **ვენერიულ ავადმყოფთა აღრიცხვა.** ახალქალაქის აღმასკომმა ჯანმრთ. განყოფილებას დაავალა აღრიცხოს მაზრაში ვენერიულ სნეულებით დაავადმყოფებული, მათთვის საექიმო დახმარების გასაწევათ და სენის გავრცელების საშიშროების ასაცდენათ.

სპორტი

მეოთხე რაიონის სპორტსკოლა

ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ საქართველო მოფინა მრავალსასპორტო წრეებით და ერთი ამათგანი არის მეოთხე რაიონის სპორტსკოლა. ეს სკოლა დაარსდა წასულ წელს დეკემბერში და აქამდე სულ სუსტობდა. მაგრამ ამ ბოლო დროს ეს სკოლა ძალიან გამოკეთდა. თუ წინათ მეცადინეობდა 10 კაცი ეხლა 56 კაცი მეცადინეობს. ამათში ნახევარზე მეტი კომკავშირელია, როგორც ვაჟები ისე ქალები. დანარჩენი არიან პროფკავშირის წევრები. ამ სპორტსკოლაში მეცადინეობა არის როგორც იარაღული ვარჯიში, ისე მძლეოსნობაში. ორივე ნაწილი მოვარჯიშეებს აინტერესებს და ამიტომ გულიანათ ეკიდებიან მის შესწავლას, არც დისციპლინის მხრივ არის ჩამორჩენილი ეს სკოლა. ყველგან სუფევს წესიერება. საერთოდ ამ სკოლაში მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

[illegible]

საკავშირო ოლიმპიადა

25 აგვისტოს ფიზკულტურის უმაღლესმა საბჭომ ამიერ-კავკასიის ს ახლით სრულიად საკავშირო ოლიმპიადაში მონაწილეობის მისაღებად მოსკოვში გაგზავნა 50 კაცი.

ფიზკულტურის საერთაშორისო დღე

ფიზიკურ კულტურის უმაღლესმა საბჭომ დაადგინა მომავალი ფიზკულტურის საერთაშორისო დღეს 7 სექტემბერს მოაწყოს დიდი ზეიმი რესპუბლიკის ფარგლებში.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. აგვისტოს 23.

მოსავლიანობის კატეგორიების დაწესების შესახებ

ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შესახებ ა/წ. აპრილის 24-ს გამოცემული დეკრეტის მე-12 მუხლის განსავითარებლად ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

დაწესებულ იქნეს შემდეგი განაწილება ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის შემადგენლობაში შემავალ რესპუბლიკათა მაზრებისა მოსავლიანობის კატეგორიების მიხედვით:

აზერბეიჯანში:

1 კატეგორია (25 ფუთამდე)—ბაქოს მაზრა.

2 კატეგორია (25-დან 30 ფუთამდე)—ზაქათალის და შემახის მაზრები.

3 კატეგორია (30-დან 35 ფუთამდე)—შამქორისა, აღდაშისა, ყაზახის, ნუხისა და ჯებრაელის მაზრები.

4 კატეგორია (35-დან 40 ფუთამდე)—გეოკჩაის, ყუბისა და განჯის მაზრები; ნახიჩევანის მხარე, ქურთისტანი და მთის ყარაბახი.

5 კატეგორია (40-დან 45 ფუთამდე)—სალიანის მაზრა.

6 კატეგორია (45-დან 50 ფუთამდე)—ლენქორანისა და აღდაშის მაზრები.

სომხეთში:

1 კატეგორია (25 ფუთამდე)—დარალაგეზის მაზრა.

2 კატეგორია (25-დან—30 ფუთამდე)—ერივანისა, ეჩმიაძინისა, ლენინაკანისა, დილიჟანისა, ახალბაიაზეთისა და ზანგეზურის მაზრები.

3 კატეგორია (30-დან 35 ფუთამდე)—ლორი-ბამბაკისა და მეგრინის მაზრები.

აღმოსავლეთ საქართველოში:

2 კატეგორია (25-დან—30 ფუთამდე)—ბორჩალოს, გორის, დუშეთის და ტფილისის მაზრები; სამხრეთ-ოსეთი.

3 კატეგორია (30-დან—35 ფუთამდე)ახალციხისა, სიღნაღის და თელავის მაზრები.

5 კატეგორია (40-დან 45 ფუთამდე)—ახალქალაქის მაზრა.

მოსავლიანობის კატეგორიები დასავლეთ საქართველოს მაზრებისათვის, აფხაზეთისა და აჭარისათვის დაწესებული იქნება იმის გამორკვევის შემდეგ, თუ რა პირი უჩანს მოსავალს.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. ცხაკაია.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—დ. ჰუსეინოვი.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ ა. შავერდოვი.

განცხადებანი

ელისაბედ დავითის ასული როსტომაშვილისა შვილებით მწუხარებით აუწყებენ ნათესავ-მეგობარ-ამხანაგებს საყვარელ მამის

ივანე პავლეს ძე
როსტომაშვილის
გარდაცვალებას.
გამოსვენება საკუთარ ბინიდან კვირას, 31 აგვისტოს, დილის 11 ს.
დაკრძალვა დიდუბეში, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში.
1876 1—1

თბილისის აღმასკ. კეთილ-მოწყობის განყ

ამით აცხადებს, რომ ა. | წ. 4 აგვისტოს, დღის 1 საათზე დანიშნულ[illegible] ჯარო ვაჭრობა (ოთახი № 43) თავისუფლების მოედანი და [illegible] ნის შუა ქუჩის გაგანიერების მიზნით შენობების [illegible] ცნობების და პირობების გაგება შეიძლება აღმასკომის შენობაში № 50, დილის 11 საათ.- 1 საათამდე.

აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილება.

3—1 ნ. 1.466.

ს. ს. რ. კ. ს. მ. უ.

სრულიად რუსეთის სილიკატი
მრეწველობის
„პროდსილიკატ
თბილისის განყოფილება: სომხების ბაზარი №
ტელეფონი № 10—65.

ჰყიდის

ფანჯრის მინებს ბემის და ნახევრადთეთრი.
ფაიფურის და ფაიანსის ჭურჭელს სახის და სასადილ
ბროლის ჭურჭელს, ლამფის შუშას, ბოთლებ
ცეცხლის მძლე აგურს და სხვა.

სახელმწიფო ორგანოებს და კოოპერატივებს ეძლევათ შე ვათი. სილიკატის მრეწველობას მინიჭებული აქვს ამჟამად ნოპოლიური უფლება ფანჯრის ბემის და ნახევრად თე მინებზე, რომელსაც ამზადებს „ქიმუგოლი“ და „ბუსევ სინდიკატი“ და სხვ. ბემის მინა ცალფა, ერთნახევრია და ორმაგი მიღებული იქნება საწყობში; ნახევრადთეთრი საწყობში. 2—1 ნ. 146

სახლი განმარტოებული, თავისუფალი ბინებით, სურს ჩქარა და ხელსაყრელ პირობებში ი ან გაყიდოს, უნდა მიმართონ დავითის ქ
3, ბინა. 2 რუსთაველის პროსპ. გვერდით.
დილის 11—2 და საღამოს 5—7 საათამდე.

1-ლ სააქციონერო საზოგადოება „ტრანსპორტი
ამიერ-კავკასიის სარაიონო სამმართველო აცხადებს, რომ სა
თბილისის კანტორის მმართველად დროებით დანიშნულია
ევგენი ნიკოლოზის ძე
სიხარულიძ
იოსებ აბრამის ძე **აპტეკარის** ნაცვლად, რომელიც სა[illegible] გადოვის სამსახურში
იმყოფება 25 აგვისტოდან.

საზ. „ტრანსპორტის“ მიერ მოქ. აპტე[illegible]კარზე გაცემული რწმუნებანი
გაუქმებულად ითვლებ
საზ. „ტრანსპორტის“ ამიერ-კავკასიის რაიონის
მმართველი ი. ა. ოსი
ნ. 1463 1—1

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი [illegible]
მიხეილ გედევანიშ[illegible]ლობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც [illegible] მეთოდ
ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღვანელ
ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
25—

მოსკოვის გაზეთების — და — ჟურნალების გამოწერა

შეიძლება საქართველოს კომპარტიის ცეკას გამომცემლობის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპექტი № 24, ტელ. 10—49) მტკიცე ფასებში.

სახლში მიტანით და გადაგზავნით თვიურად ეღირება გაზეთები:

„კრასნაია ზვეზდა“	1 მ. 80 კ.
„პრავდა“	1 მ. 00 კ.
„ცაკის უწყებები“	1 მ. 00 კ.
„ბედნოტა“	80 კ.
„ეკონომ. ჟიზნ“	1 მ. 30 კ.
„რაბოჩაია გაზეტა“ 1 გამ.	40 კ.
„ „ 2 „	90 კ.
„ „ 3 „	1 მ. 55 კ.
„ „ 4 „	1 მ. 70 კ.
„ „ 5 „	2 მ. 35 კ.
„გუდოკ“	65 კ.
„ დამატებით	1 მ. 00 კ.
„ტრუდ“	1 მ. 00 კ.
„ დამატებით	1 მ. 25 კ.
ჟურნალები.	
„პროჟექტორ“	60 კ.
„კრასნაია ნივა“	90 კ.
„ოგონიოკ“	50 კ
„ფაბზავკომ“	20 კ.
„ბეზბოჟნიკ“	40 კ.
„რაბოჩი კორესპონდ.	50 კ.
„პრედპრიატიე“	1 მ. — კ.
„ჟიზნ ისკუსტვა“	1 მ. 40 კ.
„კრასნი პერეც“	60 კ.
„მირ პრიკლიუჩენი“	50 კ.
„სმენა“	1 მ. 00 კ.
„ხოჩუ ვსიო ზნატ“	50 კ.
„რაბოტნიცა“	40 კ.
„იუნი სტროიტელი“	40 კ.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ 1 სექტემბრამდე.

0—2

დაკარგე პირადობის მოწ 33487 დიმიტრი [illegible] ტაევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულ 1875. 1—1.

დაკარგე მეტრიკული ამონაწ ლევან გიორგისძე [illegible] ნოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულ ქ. 1872. 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა [illegible] ცემული ქ. ბათუმის [illegible] ლიციის სამმართველოდან, ვიქტორია [illegible] ნაოზისძე ჭილაიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ქ. 1870. 1—1.

დაკარგე ბირჟის წიგნაკი № 4[illegible] ნამსახურობის მოწ № 172 და მეტრიკული ამონაწერი [illegible] ებრალიძეს სახელზე. ჩაითვალოს გა ბულათ. ქ. 1873. 1—1.

დაკარგე პირადობის მოწმობა 16, 320 სასურსათ ლეთი № 349 ხინა კრავჩენკოვის სახე ჩაითვალოს გაუქმებულათ. ქ. № 1874. 1—1.

დაკარგე პროფკავშირის საწ წიგნაკი მოცემული [illegible] ნისგზის გაერთიანებულ ადგილკომიდ 410217 | 3717 ერა ზლანიშვილის სახ ბაზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ქ. 1868. 1—1

დაკარგე მოწმობა რომან ამირაჯიბის სახელზ სილები ირაკლი კონსტანტინესძე [illegible] 100 მან. და 85 მან. მოწერილი [illegible] როსტომისძე ამირაჯიბისა და ალექს გოცირიძის მიერ; დაგირავების ქვითა ლომბარდისა № 3931, გაცემული 25 [illegible] და სხვა ქაღალდები. მპოვნელს ვთხოვ მატყობინოს ავლაბარში ტუჩკოვის ხევი № 3 რ. ამირაჯიბს. ქ. 1871. 1

დაკარგე უვადო ბილეთი [illegible] არჩილ [illegible] ხელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1877. 1—

დაკარგე პირადობის წიგნა 1901. მიხეილ ალ [illegible] ცემული. ჩაითვალოს გაუქმებულათ. ქ. 1878. 1—1